THE POPULATION OF THE VILLAGE OF VARIANI IN THE FIRST HALF OF THE 19TH CENTURY

სოფელ ვარიანის მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში

DAVID AKHLOURI

Doctor of History Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

Abstract. The paper discusses the population of the village of Variani in the first half of the 19th century. The historical and geographical environment of the village, the roads there and their importance in the political and economic life of both Shida Kartli and the country are reviewed.

Attention is paid to the first information about Variani, dating back to the second half of the 17th century; as is known, in 1656, the last representative of the Bagrationi dynasty of Kartli, King Rostom (also known as Khosro Mirza, Kaikhosro Batonishvili), granted an estate in Variani to the Machabeli.

Other important decrees of Georgian kings and feudal lords about Variani, the famous historian and geographer Vakhushti Batonishvili and the "Notes" of the German traveler, a participant in the expedition of the Imperial Academy of St. Petersburg, Johann (Anton) Guldenstedt, are also important.

The Great Book of the Tbilisi Province of 1728 contains noteworthy information about the population of Variani, where Variani is mentioned in the Gori Livas of the Satsitsiano Nahiya. The Turkish source allows us to determine the demographic and economic situation of the village, as well as social relations. In this regard, Ioane Bagrationi's description of the Kartli-Kakheti Kingdom in 1794-1799 is also noteworthy.

As for the demographic situation in Variani in the first half of the nineteenth century. The study analyzed the data of the cameral censuses of 1804, 1818, 1831-1832 and 1841, where we find different categories of peasants at that time: treasury, sabaton and church.

Historically, serfs in Variani belonged to: Machabeli, Kherkheulidze, Amilakhveri, Eristavi, Gankar Bortishvili of Machabeli and other feudal lords. The census shows the mutual relationship between the serfs and peasants, the number of sabatoni and purchased lands of the peasants, the income received from the estates in the form of bread and wine, and other sources of income.

As we know, the great Georgian teacher and public figure Iakob Gogebashvili was from this village. The work outlines the period of settlement of the Gogebashvili family in Variani, and attention is also paid to their previous residence.

The past is compared with the present.

Key words: Variani population; funds; chamber lists; household; Machables; Sabatono estate; Sabatono; treasury and church serfs.

დავით ახლოური

ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძისქ., №53,1400, საქართველო,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

აბსტრაქტი. ნაშრომში საუბარია სოფელ ვარიანის მოსახლეობაზე მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. მიმოხილულია სოფლის ისტორიულ- გეოგრაფიული გარემო, იქ არსებული გზები და მათი მნიშვნელობა როგორც შიდა ქართლის, ისე ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ყურადღება ეთმობა ვარიანის შესახებ არსებულ პირველ ცნობებს, მოყოლებულს XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან; როგორც ცნობილია, 1656 წელს, ქართლის ბაგრატიონების უკანასკნელ წარმომადგენელს როსტომ მეფეს (იგივე ხოსრო მირზა, ქაიხოსრო ბატონიშვილი) მაჩაბლებისთვის ვარიანში მამული უბოძებია.

ვარიანის შესახებ მნიშვნელოვანია ქართველ მეფეთა და ფეოდალთა სხვა განჩინებანი, ცნობილი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილისა და გერმანელი მოგზაურის, პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის ექსპედიციის მონაწილის იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტის „ჩანაწერები“.

ვარიანის მოსახლეობის შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცავს 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, სადაც ვარიანი მოხსენიებულია საციციანოს ნაჰიეს გორის ლივაში. თურქული წყარო საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სოფლის დემოგრაფიული და ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალური ურთიერთობები. ამ მხრივ ასევე აღსანიშნავია იოანე ბაგრატიონის 1794-1799 წლების ქართლ-კახეთის სამეფოს აღწერა.

რაც შეეხება უშუალოდ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ვარიანში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას. საკითხის კვლევისას გაანალიზებულია 1804, 1818, 1831-1832 და 1841 წლების კამერალური და საეკლესიო აღწერების მონაცემები, სადაც იმ დროისთვის გლეხთა სხვადასხვა კატეგორიებს ვხვდებით: სახაზინო, საბატონო და საეკლესიო.

ისტორიულად ვარიანში ყმები ეკუთვნოდათ; მაჩაბლებს, ხერხეულიძეებს, ამილახვრებს, ერისთავებს, მაჩაბლების განაყარ ბორტიშვილებს და სხვა ფეოდალებს. აღწერაში ნაჩვენებია მებატონეთა და გლეხთა ურთიერთ დამოკიდებულება, გლეხთა საბატონო და ნასყიდი მიწების რაოდენობა, მამულებიდან მიღებული შემოსავალი პურისა და ღვინის სახით, შემოსავლის სხვა წყაროები.

როგორც ვიცით, ამ სოფლიდან გახლდათ დიდი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი. ნაშრომში გამოკვეთილია გოგებაშვილების ვარიანში დასახლების პერიოდი, ყურადღება ეთმობა მათ ადრინდელ საცხოვრისსაც.

წარსული შედარებულია თანამედროვეობასთან.

საკვანძო სიტყვები: ვარიანის მოსახლეობა; ფონდები; კამერალური სიები; კომლი; მაჩაბლები; საბატონო მამული; საბატონო; სახაზინო და საეკლესიო ყმები.

შესავალი

სოფელი ვარიანი მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, მდინარე ლიახვის მარჯვენა მხარეს ზღვის დონიდან 680 მეტრზე. გორიდან დაშორებულია 12 კილომეტრით. ვარიანზე გადის გორი-ნიქოზი-ცხინვალის საავტომობილო გზა. იგი გახლავთ სათემო ცენტრი სოფლების: არაშენდა, ახალდაბა, ვარიანი, საქაშეთი.

დიდი ქართველი მწერალი, პედაგოგი, ეროვნული მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენებდა თავის მშობლიურ სოფელს, განსაკუთრებით კი სოფლის შუაგულში ვეებერთელა წყაროს, სადაც ზაფხულის პაპანაქებაში „ნეტარება ყოფილა დასვენება.“ ყველაზე უკეთ, თუ ვინმეს შეეძლო სოფლის დახასიათება და მისი სიყვარულის გადმოცემა, ეს პირველ რიგში „დედა ენის“ ავტორი გახლდათ, რომელიც ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ჩვენი სოფელი“, ასე აგვიღწერს ვარიანს: „ჩვენს სოფელს ვარიანი ჰქვია. მცხოვრებნი სულ გლეხები არიან. ას კომლამდე იქნებიან. ახლო-მახლო ცხოვრობენ. ქვითკირის შენობა მხოლოდ ზოგიერთს უდგას. სხვები სცხოვრობენ ან მიწურში ან ქვა-ტალახა სახლებში. სახლებისვე გვერდით გაკეთებული აქვთ ბოსლები და ბაკები. ამის გამო სოფელს სისუფთავე აკლია.

რადგანაც სოფელი მჭიდროდ არის დასახლებული, ამის გამო პატარა ადგილი უჭირავს.

შიგ შუა სოფელში აშენებულია ქვითკირის საყდარი ღვთისმშობლის სახელობაზე. საყდარს ზევით და ქვევით ამოჩუხჩუხებს მიწიდან ორი ვეებერთელა წყარო. ეს წყაროები ქვემოთ ერთდება და აჩენს მოზრდილს ფშანს. ამ ფშანში ბევრი თევზი ბუდობს, მათ შორის კალმახიც, ყველა თევზზე გემრიელი.

ვარიანს ირგვლივ შემორტყმული აქვს ვენახები. ეს ვენახები სავსეა ვაზებით, ხილი კი მათში ნაკლებად არის დარგული. ვენახების აქეთ-იქით იწყება სახნავ-სათესი მიწები. ამ მიწებმა და ვენახებმა ჩინებული მოსავალი იციან. ეს იმიტომ, რომ მიწა ნაყოფიერია და უხვად ირწყვება რუების წყლით.

ეს რუები გამოყვანილია მდინარე ლიახვიდან, რომელიც აღმოსავლეთის მხრივ ჩამოუდის ვარიანს. ვარიანელებს მოჰყავთ პური და სიმინდი. სხვა მცენარეს იშვიათად სთესავენ. ღვინის მოყვანასაც ერთგულად მისდევენ.

ზამთარი ვარიანში მეტად ცივი იცის. ეს უფრო იმიტომ, რომ ჩრდილოეთიდან ზედ დაჰყურებს კავკასიონის მაღალი მთები, ზამთარ-ზაფხულ თოვლით შემოსილი.

რადგან ვაზი ვერ იტანს ზამთრის ყინვასა და ხმება, ამიტომ ვარიანელები შემოდგომაზე ვენახს სარს უყრიან და ვაზებს მიწაში ფლავენ, რასაც ისინი ვაზის დამარხვას ეძახიან. გაზაფხულზე კი ისევ ააყენებენ ხოლმე ვაზებსა და სარებს უდგამენ.

სამხრეთით ვარიანს მოზრდილი ჭაობი უძევს. ამ ჭაობს მეტად ცუდი სუნი ასდის, რომელიც სწამლავს ჰაერსა და აჩენს ავ ციებას ზაფხულობით. ბედად, ვარიანში თითქმის ყოველ დღე ქარი ჰქრის და ფანტავს ამ მოშხამულს ჰაერსა, თორემ უარესი დაემართებოდათ ვარიანელებს.

ვარიანელები ზამთრობით არსად მიდიან საქმეზე და შინაც დროს უქმად ატარებენ. სახნავ-სათესი მიწაც ნაკლები აქვთ და ისიც საღალო. ამის გამო ღარიბნი არიან და სხვადასხვა ფულიანი მოქალაქეების ბევრი ვალი მართებთ.

პატარაა და ღარიბი ვარიანი, მაგრამ მე კი ეს სოფელი ძლიერ მიყვარს.

მიყვარს იმის გამო, რომ იქ დავიბადე, იქ ვიხილე მზის სინათლე, იქ გავატარე ჩემი ბავშვობის ბედნიერი დღეები, იქ ვტკბებოდი მშობლების, ძმების და დების სიყვარულით, იქ ჩემს ყურებს ასიამოვნებდა წყლების ჩხრიალი, ჩიტების ჭიკჭიკი;

იქაურ მწვანე ტყე-ველს აღტაცებაში მოვყავდი; იქ ვისწავლე ბევრი ხალხური ლექსი და მოთხრობა, იქ შევითვისე და შევიყვარე მშრომელი ხალხი. იქვე, სასაფლაოზე მარხია ჩემი ძვირფასი დედ-მამა, ძმები, ნათესავები.“ **(https://www.aura.ge/103-saskolo/11953-iakob-gogebashvili--chveni-sofeli.html).**

ვარიანის შესახებ ცნობებს ვხვდებით ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაშიც“: „ლიახვს დასავლით რუისის მთის ძირს, არს თედოწმინდა. მცირედ მას ზეით ერთვის დასავლეთიდამ ლიახუს ვარიანის ფშანი და ახალდაბისა. ამ ფშანსა შინა იპყრობის კალმახი ყვითელი და ფრიად კარგი. ვარიანს ზეით ერთვის ლიახუს აღმოსავლეთიდამ პატარა ლიახვი" **(ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 369).**

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, რომელმაც 1768-1775 წლებში იმოგზაურა საქართველოსა და კავკასიის სხვა რეგიონებში, დიდი ლიახვის ზემოდან ქვემოთ მდებარე სოფლების რიგში ასახელებს ვარიანს, რომელიც, მოგზაურის მითითებით, ლიახვის ქვემო დინებაზე მდებარეობს **(გიულდენშტედტი, 1962: 279).**

მეთოდები

საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ შიდა ქართლის შესახებ არსებული წყაროებისა თუ სხვა ისტორიული მასალის კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ ვარიანში საუკუნეების მანძილზე არსებული დემოგრაფიული ვითარება, დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება განვსაზღვროთ იქ არსებული ისტორიული რეალობა... ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები

ნაშრომში მოძიებულია ვარიანის შესახებ არსებული ისტორიული ცნობები. მიმოხილულია ხუროთმოძღვრული ძეგლები, გარესამყაროსთან დამაკავშირებელი გზები. გაანალიზებულია საუკუნეების მანძილზე სოფელში არსებული სოციალური ურთიერთობები, გლეხთა კატეგორიები, ეკონომიკური ყოფა, დემოგრაფიული და რელიგიური მდგომარეობა. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში არსებულ ვითარებას. წყაროების დიდი ნაწილი ჩვენს მიერ პირველად ქვეყნდება, რაც მნიშვნელოვან სიახლედ მიგვაჩნია. შედეგად, ნაშრომში სრულყოფილადაა

შესწავლილი შიდა ქართლის ერთ-ერთი ისტორიული ქართული სოფლის განსახილველი პერიოდის დემოგრაფიული ვითარება.

დისკუსია (მსჯელობა)

ძველი ნასოფლარების კვალი მიგვანიშნებს, რომ ვარიანში მოსახლეობა უძველესი დროიდან მკვიდრობდა. სოფლის დასავლეთით, ნახევარი კილომეტრის დაშორებით, მდებარეობს გვიანდელი ფეოდალური ხანით დათარიღებული კოშკი, რომელიც ცილინდრულია და საცხოვრებელ-სათავდაცვო ნაგებობას წარმოადგენდა. კოშკი სამსართულიანი იყო... მტრის გამოჩენისას კოშკის თავზე ცეცხლს ანთებდნენ და მინდორში მომუშავე გლეხებს თავდასაცავად უხმობდნენ. კოშკის მახლობლად, ლელისთავებად წოდებულ ტერიტორიაზე რიყის ქვით აგებული შენობების საძირკვლის კვალი იკვეთება. 1973-1974 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კასპის არქეოლოგიურმა ექსპედიციიმ გ. ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით მოაწყო ვარიანის მიდამოების დაზვერვა. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთითა და ვარიანის კოშკის ახლოს აღმოჩნდა რიყის ქვით ნაგები შუა საუკუნეების კედლები, სადაც მიაკვლიეს საყოფაცხოვრებო ნივთებს, მათ შორის წითლად გამომწვარ უხეშკეციან თიხის ჭურჭელს, ქვევრის ნამტვრევებს და სხვა. ნასოფლარიდან მოსახლეობის აყრის მიზეზად XVIII საუკუნეში გახშირებულ ლეკიანობას მიიჩნევენ **(საქართველოს ისტორიის... 1990: 66).** დაღესტნელ ფეოდალთა ორგანიზებით მოწყობილ თავდასხმებს ქართლსა და კახეთზე, რომლის მიზანიც გახლდათ ტყვეების გატაცება, საქონლისა და ჭირნახულის მითვისება... მძიმე შედეგები მოსდევდა როგორც ეკონომიკური, ისე დემოგრაფიული თვალსაზრისით. ამ ავბედითმა ჟამმა არაერთი ქართული სოფელი აქცია ნასოფლარად.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანას მიეკუთვნება სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფუტუროებში, სასაფლაოს ტერიტორიაზე რიყის ქვით აგებული დარბაზული ეკლესია. ფრონტინის არეში (სამკუთხედის ფორმის შენობის ფასადის დამაგვირგვინებელი ნაწილი, შემოფარგლული სახურავის ორი ფერდითა და კარნიზით, ცნობილია ასევე ტიმპანის სახელით) მკვეთრად დაზიანებული ასომთავრული წარწერაა:

„აქ. სახელითა ღმ(-)
რთისაითა(,) მამისა
და ძისა ს(უ)ლისა წ(მიდ)ისაითა,
თხბთა(?) წ(მი)და(ი)სა ღ(მრ)თის მშ(ო)ბელისაი(-)
თა(,) შეწევნითა გამგებთა (წ(მ)ი(დი)სა გი(ორგი)სითა
ესე ..... სიმტკიცე სამ გზისა წრ...“ **(მეგრელიძე, 1984: 108).**

ნასოფლარის ნაშთები, თიხის ჭურჭლის ნამტვრევებთან და დიდი ქვევრის ფრაგმენტებთან ერთად, ფუტუროების ტერიტორიაზეცაა.

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია თითბრის ზარი, მასზე 1777 წლის 3 დეკემბერს შესრულებული მხედრული წარწერა გვამცნობს, რომ

ვარიანის ღვთისმშობლის ეკლესიისთვის ზარი მეფის მგალობელ სოლომონ ნამორაძესა და მის ძმა იოანე ნამორაძეს შეუწირავთ გარდაცვლილი ძმის, მიქაელის სულის საოხად.

მგალობელი სოლომონი მოხსენიებულია XIX საუკუნის დასაწყისის ზოგადი სტატისტიკური ამონაკრების ნუსხაში, საიდანაც ჩანს, რომ სოლომონს საკუთარი ყმებიც კი ჰყოლია:

„ე (5 - დ.ა.) ქ. ვარიანს სოლომონ მგალობლის ყმა: ااااا“ **(ჯავახიშვილი, 1974: 183)...** მეფის მგალობელს, ყმებთან ერთად, თავისი მამულიც ჰქონდა, რომელზეც, ქვემოთ, მეთოდი მდივანბეგის არზის განხილვისას ვისაუბრებთ.

ღვთისმშობლის კიდევ ერთი, მიძინების სახელობის ტაძარი დგას სოფლის ცენტრში. ეკლესიის სამხრეთ კარს ზემოთ სამშენებლო წარწერაა, რომლის მიხედვით, იგი აშენებულია 1835 წელს **(მეგრელიძე, 1984: 107).**

რიყის ქვითა და აგურით ნაგებ დარბაზულ ეკლესიას, კომუნისტების დროს იყენებდნენ იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის საწყობად **(საქართველოს ისტორიის... 1990: 66).**

ღვთისმშობლის ეკლესიის ახლოს მდგარა სამი მრგვალი კოშკი, რომლებიც XX საუკუნეში დაუნგრევიათ. სალოცავის მახლობლად მომდინარე წყარო კი 1920 წელს მოუპირკეთებიათ **(მეგრელიძე, 1984: 107).**

სოფლის სიძველეზე მიგვანიშნებს კიდევ ერთი ნასოფლარი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთი კილომეტრის დაშორებითაა. ნასოფლარის ტერიტორია წყაროსთავების სახელითაა ცნობილი. რიყის ქვით ნაგები სახლის ნანგრევები, საყოფაცხოვრებო ნაშთებთან ერთად გვიანფეოდალურ ხანას მიეკუთვნება. XVIII საუკუნეში ლეკთა შემოსევების გამო აყრილი მოსახლეობის ადგილი, XIX საუკუნეში რაჭიდან გადმოსახლებულ კერესელიძეებს დაუკავებიათ, რომლებიც დღევანდელ ვარიანის ტერიტორიაზე საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მკვიდრდებიან **(საქართველოს ისტორიის... 1990: 66)..**

ისტორიულ წყაროებში ვარიანის შესახებ პირველი ცნობები XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოგვეპოვება. 1656 წელს, ქართლის ბაგრატიონების უკანასკნელ წარმომადგენელს, როსტომ მეფეს (იგივე ხოსრო მირზა, ქაიხოსრო ბატონიშვილი) მაჩაბლებისთვის მამული უბოძებია **(ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, 1984: 25).**

ვარიანი მოხსენიებულია 1701-1703 წლების ერეკლე პირველი ნაზარ ალი-ხანის განჩინებაში: (დათარიღება ეკუთვნის ი. დოლიძეს, ნ. ბერძენიშვილი ათარიღებს 1688-1691 წლებით) „ბიძინასა და დუშიას სასიხლო საქმეზე“, რომელშიც ვკითხულობთ: „...ამილღამბარს და დავითს რომ მოეკლათ და მისი სისხლი რომ გავაჩინეთ, იმისი განაჩენი სხვა არის. ორას ორმოცი თუმანი გაუჩინეთ. იმისგან სხვა ყველა ზოგი ჩვენ, ზოგი დარბაისელთ ვიპატიეთ და ზოგი იქით ჭრილობისა და მიხდომისათვის გავაშვებინეთ. ადგილს სამოცი თუმანი დარჩა. ამ სამოცს თუმანში მივეცით ვარიანს უჯარმელაშვილი ხუცესი მისის ძმებით, კიდევ უჯარმელაშვილი ბერიკა და ხუცო, ძარს ტრამაკიძე მამუკა მისის ძმებითა.

ესენი დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, ყოვლისფრითა; და ამას გარდა ოცი დღის მიწა ვარიანს ამილღამბარის წილიდამ. ესეები მივაცემინეთ.

მიწა თუ ვარიანს აუხდეს, იასეულო, სხვაგნიდამ შეუთავე და მიაბარე.

...როგორც ამ განაჩენში სწერია და გაგვირიგებია, იასეულო, ეს ასრე ბიძინას და დუშიას ყმაცა და მიწაც ამ რიგად დაანებე, ნურავინ ეცილება. სისხლად ეს მისცემია. ამის მეტი განაჩენი თუ სხვა გამოჩნდეს, ყველა ცუდი არის. მ... ნურა მოსამართლე ამას ნუ მოშლის." **(ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 1972: 208).**

1712 წელს კი ვახტანგ მეექვსეს ურბნელი ეპისკოპოსისთვის, ქართლის სხვა სოფლებთან ერთად, ვარიანის შეწირულობის სიგელი განუახლებია.

1754 წლის 2 მარტს თეიმურაზს გამოაქვს განაჩენი იესე, ბარძიმ და ზაზა მაჩაბლების მამულის საქმეზე. იესე უჩივის თავის ბიძაშვილებს („განაყოფს"): ბარძიმს, ძაღლუას და ზაზას: „იესე ასე მოგვახსენებდა: ამოწყვეტილი ქობულიშვილის ზურაბის და ზაზას, ზაალის მამული რომ ჩვენ გვიბოძეთ ვარიანს, ბარძიმ და ზაზა არ გვანებებსო."

სამეფო კარს სამართლიანად განუსჯია მოდავენი, თუმცა, წყარო აქ მოხსენიებული პირებითა და მათი მამულების აღწერითაა უფრო მეტად მნიშვნელოვანი: „მოვიყვანეთ სამართალში და ორივ ერთად ვალაპარაკეთ, ამათი სარჩელი და საჩივარი გავშინჯეთ. ბარძიმ და ზაზა ორი ნასყიდობის წიგნი მოიტანა ქობულიშვილის ზურაბის და ზაზას, ზაალის მიცემული, რომ ერთზედ იესეს ბეჭედი იჯდა მოწმობისა და მეორეზედ იმისის ძმის გოგიასი, რომ: ზურაბს ზაზას და ზაალს მიეყიდათ თავეთის რაზით ვარიანს ბეჟიტაშვილის საკომლო თავისის მამულით, ნასყიდით და უსყიდით, გვარამული დათუნა თავისის შვილებით; და მეორეს სიგელში ეწერა ხვედიანელი კაცობა, თევდორე, შიო, ოთარა და ბერი - ეს ხუთივ ძმანი; კიდევ ამისი განაყოფი თავისის მამულით, ვენახით, მიწით და სასაფლაოთი, ნასყიდით და უსყიდით მიეყიდნათ.

რადგან სიცოცხლეშივე გაეყიდნათ და ნასყიდობის სიგლებიც ხელთ ქონდათ ბარძიმსა და ზაზას, ეს კაცნი თავეთის მამულით ბარძიმს და ზაზას დარჩეს, იესე მაჩაბელი ამა მამულებზედ და გლეხებზედ ვეღარას მიედაოს..."

განჩინებას ახლავს თეიმურაზის ბეჭედი ორიგინალური წარწერით: „უფლისა მიერ მეფედ ცხებული, თეიმურაზის დამტკიცებული" **(ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 1972: 214).**

1766 წლის 10 თებერვლის დემეტრე ამილახვრიშვილისა და მისი სახლიკაცების გაყრის განჩინებაში საუბარია ვარიანში მცხოვრებ გვარზე - სირბილაძეზე, კონკრეტულად კი მის სიძეზე და სამთავისის ყმებზე: ბატონს ეკუთვნოდა ვარიანს სირბილაძის სიძე თევდორე, ხოლო „ქ. სამთავისის ღვთაების ვარიანს ერთი ხოდაბუნი... მერვედი ბატონისა არის სამთავისის ყმა და მამული." (**ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 1972: 522-523).**

1774 წლის 13 აპრილის ზაზა მაჩაბლის არზაში, რომელსაც ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის ოქმი ახლავს, ჩანს, რომ მაჩაბლების გარდა ვარიანში ყმები და მამულები, როგორც სამეფო კარს, ისე სხვა თავადებსაც ჰყავდათ. კონკრეტულ შემთხვევაში კი საუბარია „ურჯომელასშვილის მამულზე": „ურჯომელასშვილის მამული რომ ჩემს ბარათში ნარგებია, აღა ბაბას უჭირავს უსამართლობით, მკვიდრი ჩემია და ბარათიც შინა მაქვს. ვარიანში თქვენი ყმაც ბევრია და სხვისაცა; მოიკითხეთ, ღმერთი და თქვენი მზე აფიცეთ და სამართალი მაღირსეთ, რომ ჩემი მამული სამართლით მე მომეცეს."

არზის თავში მეფის მინაწერია: „ქ. ჩვენი ბრძანება არის: თუ სიტყვა გაქვს რამ, სამართალში ალაპარაკე; თუ არა, თავისი მამული და და(ა)ნებე" **(ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, 1981: 250)...**

ურჯომელაშვილის მამულზე დავა წლების მერეც გაგრძელებულა. 1781 წლის 22 ნოემბრის განჩინებაში მაჩაბელი ბარძიმი და მისი ძმა უზბაში ზაზა, როსტომ ერისთვისშვილს ედავებიან „ურჯემელასშვილის ნაქონ“ ერთ სახლის ალაგზე, ერთ ვენახზე და რვა დღიურ მიწაზე... როსტომს, დათქმულ დროში („ქრისტეშობის დღესასწაულამდის“), ვერ წარუდგენია ყმის ნასყიდობის წიგნი, რის გამოც საქართველოს „მსაჯულშეკრებილებას“ დავა მაჩაბლების სასარგებლოდ გადაუწყვეტია **(ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 1974: 167-168).**

განჩინებაში ზაზა მაჩაბელი მოხსენიებულია უზბაშად. უზბაში თურქული წარმოშობის ტერმინია. ნიშნავდა ასისთავს, ასეულის მეთაურს. ეს სახელო გვხვდება როსტომ მეფიდან მოყოლებული. ვახტანგის „დასტურლამალიდან“ ჩანს, რომ იგი ჯერ ყულარაღასს (მეფის პირადი დაცვის უფროსი), შემდეგ კი, XVIII საუკუნის II ნახევარში, მინბაშს (ათასეულის მეთაური) ექვემდებარებოდა. მინბაში, თავის მხრივ, XVIII საუკუნის II ნახევრიდან იყო ციხის უფროსიც და მორიგე ჯარში მაღალი თანამდებობის პირიც, რომელიც ჯარის გაწვრთნას ხელმძღვანელობდა. ცხადია, ამ პროცესში აქტიურად იქნებოდა ჩართული ზაზა მაჩაბელი, ასეულის მეთაური, რომელიც ვარიანიდან, ამილახვართან ერთად, მოხსენიებულია 1774-1783 წლის პურისა და ქერის ხარჯის ანგარიშისადმი მიძღვნილ ნუსხაში:

„იე ქ. ვარიანიდამ ზაზა მაჩაბლის გაცემული პური კოდი

კ ქ. ვარიანიდამ ამილახვრის მარიფათით პური კოდი“ **(ჯავახიშვილი, 1974: 115).**

იე - 15 კოდის მაჩვენებელი იყო, კ - 20 კოდის... კოდი მარცვლეული კულტურების საწყაო გახლდათ XV–XIX საუკუნეებში. მისი მასა დროის მიხედვით იცვლებოდა. XVIII საუკუნეში 10 ლიტრიანი კოდი 30-34 კგ.ს იტევდა.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების კიდევ ერთი მებატონის არზა უკავშირდება ვარიანს - 1776 წლის 23 აპრილს დიმიტრი ფალავანდიშვილს მიუმართავს ერეკლესთვის: „ამას მოვახსენებთ მათს სიმაღლეს. ერთი ჩემი მემკვიდრე კაცი მყვანდა ვარიანს. წელს თებერვალში აყრილა და ფხვენისს დამდგარა სხვის მამულზედ. მე სხვის მამულზედ კაცი რას მარგებს.

ამდენი თქვენი მოწყალება იყოს, რომ ერთის იასაულის წყალობა მიყოთ, რომ იქიდამ აყაროს და ქცხინვალს თქვენს სახასოში მამასახლისს მიაბაროს. ღმერთი გაგიმარჯვებთ“.

მეფე დიმიტრი ეშიკაღასბაშს უბრძანებს, იასაულის მეშვეობით, არზის პატრონის კაცი „აუყაროს და ქცხინვალს დაუსახლოს“. ეშიკაღასბაში კი იასაულ ავთანდილ სიამარალიშვილისგან ითხოვს ბრძანების აღსრულებას **(ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, 1981: 338).**

როგორც ცნობილია, სამეფო კარი სამშობლოსთვის დაღვრილი სისხლისა და გმირობისთვის მოწყალებას გასცემდა, რომელიც შესაძლებელია მამულებისა და ყმების ჩუქებითაც განსაზღვრულიყო. ასეთი შემთხვევა გვხვდება ვარიანშიც. 1785 წლის 14 ივლისს მეფისთვის არზით ვასილ კობახიძეს მიუმართავს:

„ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მონას როსტომ ერისთვის შვილის აზნაურშვილს კობახიძე ვასილს.

მეფევ მართლმსაჯულო, მეორეთ მოსვლის მზგავსად ქედმოხრელი ვსდგევარ თქვენის მეფობის წინაშე და სამართალს ვთხოვ... მთელი მეჯვრისხევის სიღნაღი (თავშესაფარი თურქ.) და გალავანი ჩემს ვენახებში დგას, ორი ძველი კოშკი ჩემი არის, ჩემის მამის

გარემოშიგ დაჰყვა, რომე აღარა მომრჩომია რა, ორასის კოკის ვენახი წამიხდა, რომე სიღნაღი არის.

ეს მამულები სულ ნასყიდობა არის, რომე ამათი სახასო არა გვქონია, რომ ესეები წამიხდა ამისის საფარდოთა: სისხლდაღვრილი კაცის შვილი ვიყავ და მეც ამათთან სისხლი დამიღვრია. ამისის სამაგიეროთ ჯერ ვარიანს ორი კომლი კაცი მებოძა: მანამ სააზნაურიშვილო გამოჩნდებოდესო, ეს გეჭიროსო მკვიდრად სიგლითა და თორმეტი თუმანი ფეშქაში მივართვი ყველასა...“

ჩანს, ვასილი იოსებ თულაშვილს უჩივის: „ვარიანი თულაშვილმა ბორტის შვილს მიჰყიდა, ეს სააზნაურიშვილოც თულაშვილმა წამართვა და ერთს უმკვიდროს ქარუმიძის ყმას მღვდელს მისცა თავისი შვილების საოსტატოში. არაფერი დანაშაული არა მაქვს რა თქვენის ერდგულების მეტი. დავით ერისთვის სიგელი დაბეჭდილი დააბნელა და თავისი გამოუბრწყინვა თულაშვილმა“.

კობახიძე თავის გაღარიბებაზეც საუბრობს: „ბედნიერო მეფევ, ასრე დავგლახავდი ამ მამულების ქრთამზედ, რომ მას ეკლესიაში ვთხოულობდი და ამ თეთრის სარგებელს ისე ვაძლევ, ასე საქმე გამიჭირდა. სხვა ილაჯი რომ ვერ ვქმენ რა, შარშან ორი ქალი წავიყვანე და ყიზლარს დავათხოვე.“

იგი მეფისგან ითხოვს სამკვიდრო მამული მიეცეს ან თუ სამკვიდრო მამულს არ მისცემენ, ვალად აღებული ოცდაოთხი თუმანი თეთრი იმან გაიღოს, ვისაც მისი მამული უკავია. ამისთვის ქართველ მეფეს ღმერთსა და „დიდი რუსეთის ხელმწიფეს“ აფიცებს.

არზის კიდევ ერთი ფრაზა იქცევს ჩვენს ყურადღებას: „ღმრთის გულისათვის მეფევ უსამართლოთ ვიწვი, მომხედეთ, თქვენც ვალი გაძევსთ ამისთანა უსამართლოებისა, რომე თქვენს მეფობაში ეს მოხდეს. სხვას გარდა დიდი რუს ხემწიფის წერილიც მოუტანე, ეს კაცი შეწუხებული იყოსო, საცა იყო ამისგან უფრო შეწუხება ერთი სხვა არ მინახამს.“

ბევრი რამითაა ეს წერილი საყურადღებო, როგორც ისტორიული ფაქტებით, ისე მისი ავტორის მკაცრი ლოგიკითა და დამაფიქრებელი მსჯელობით, მიუხედავად იმისა, რომ მეფეს ესაუბრება - უსამართლობას ნუ ჩაიდენთ, თორემ ეს თქვენს მეფობას ვალად გაჰყვება და დაამძიმებსო. წერილის ფინალში რიტორიკული კითხვაა - ათი სული ხიზანი მყავს, რით შევინახოო. ცხადია, თხოვნა რეაგირების გარეშე არ დარჩებოდა. ერეკლე მსაჯულთაგან ითხოვს ჭეშმარიტი სამართლის აღსრულებას: უფალო მსაჯულნო... სამართალი მოეცით და გარდაუწყვიტეთ, ნუღარ დაუგვიანებთ. ასრე უსაჯეთ, რომ მეორედ საჩივარი აღარ მოუხდეს...“ მსაჯულები კი როსტომ ერისთვისშვილისგან მოითხოვენ მამული და ყმა ვასილს ებოძოს, როგორც ეს „კურთხეულ დავით ერისთავის“ სიგელით იყო გათვალისწინებული. როსტომს თუ ამის საწინააღმდეგო რამე ჰქონდა, შეეძლო შესაბამისი საბუთით სამართალი მოეთხოვა **(ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 1974: 310).**

ვარიანში სამკვიდრო მამული ჰქონდა მემამულე მანუჩარ ლაშქარნივის (ლაშქაროვს). „ზემო ქართლიდამ არზის მორთმევით და მას უკან აქ ორჯელ პირით მოხსენებით ჩვენის სამკვიდროს ვარიანის მამულისა ბოძება მოგახსენე და ბოძების წყალობა მებძანა“ - წერს იგი 1788 წლის 18 ნოემბრის არზაში მეფე ერეკლეს **(საქართველოს სიძველენი, 1910: 526-527).**

1789 წლის 3 ივლისს ვარიანში არსებული მამულის თაობაზე ერეკლესთვის არზით მიუმართავს მეთოდი მდივანბეგს, იგი მებატონე ფარსადან მაჩაბელს უჩივის: „ერთი

წელიწადი არის, რომ თქვენი წყალობა ხოდაბუნი წამართვა ვარიანს მაჩაბელმა ფარსადან. თქვენს მოწყალებას შემოვევედრე და თქვენგან გვებოძა, რომ ყანას ჩვენთვის მოვამკევინებო და მიწას შენ გიბოძებო.

ახლა კიდევ გევედრებით: ერთი ოქმი გვებოძოს ამილახვარზედ, რომ ის ყანა თქვენთვის მოიმკოს და ყანა ჩვენ გვებოძოს. და მასუკან მაჩაბელს თუ სიტყვა აქვს რამე, თქვენს სამართალში მოგახსენოსთ.“ მდივანბეგი ზოგადად წუხს მამულების ნაკლებობაზე. სამიოდე ჯავახია მოსული და თუ „ის მამული იმათ არ დაუყევ, უმამულობით ისინიც დაიფანტვიანო“, რაც ჯავახეთიდან ოჯახების მიგრაციაზე მიგვითითებს, ისევე, როგორც ვარიანიდან ხდებოდა სხვაგან გადასახლება: „ერთი კომლი კაცი ჩემი სართიჭალას ჩავიდა და გივმა ფარეშთხუცესმა არ დამანება არამც, ესენიც უმამულობით აიყარნენ.“ მეფე, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყურადღებით ეცნობა ქვეშევრდომის სათხოვარს და სამართლიანი განჩინებაც გამოაქვს: „ქ. ბატონო ამილახვარო ოთარ, სოლომონ მგალობელს, რომ ვარიანში დემეტრე ამილახვრიშვილის წილი მამული ეჭირა, ჩვენ ის ხოდაბუნიცა და კაცნიც მეთოდის მივეცით. და ახლა რომ ეგ ხოდაბუნი მაჩაბელს მოუხნავს, მაგისი ღალა შენ უნდა გამოართო და შეინახო.

და ის ხოდაბუნი თუ დემეტრე ამილახვარიშვილისა ან ნასყიდია ან ნამზითვია და ან მამა-პაპისა არის, ხომ სიტყვა არა ექნება რა მაჩაბელს. და თუ არც ერთი არ არის, ჩამოვიდეს მაჩაბელი, სამართალში ელაპარაკოს და ისე დაინებიოს. სამართლამდის კი ნურც ერთნი ნუ მოხვნენ. და წლევანდელი ღალაც შენ უნდა გამოართო და შეინახო...

ქ. თუ მაჩაბელმა დაიგვიანა და ახლავ არ ჩამოვიდა და სამართლით არ გაუსწორდა, ისინი მოხვნენ იმ მიწასა, ასე იცოდეს.“ **(ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, 1981: 819).**

ქართლ-კახეთის სამეფო კარის 1798 წლის 16 ივლისის ბრძანებით, დემეტრე ამილახვრიშვილის ნაქონი მამული, რომელიც შემდგომში ჯერ სოლომონ მგალობელს და შემდეგ მეთოდი მდივანბეგს „ეჭირა“, მაჩაბელთა სახლის წარმომადგენლებს გადაეცათ: „ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ, თავადსა და ჩვენს დიდათ ერდგულად ნამსახურთ მაჩაბელს ელიზბარს, ლუარსაბს, რევაზს და ძმის წულსა თქვენსა იესეს, დიმიტრის, ლეკტორს, ბარძიმს, ზაზას, თეიმურაზს და სვიმონს, შვილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა, მას ჟამსა, ოდეს მოხვედით კარსა პალატისა ჩვენისასა და ვარიანს დემეტრეს ნაქონს ჩვენს სახასო ყმასა და მამულს დაგვეაჯენით, ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგიწყნარეთ და გიბოძეთ ვარიანს ჩვენი სახასო ყმა და მამული, დემეტრეს ნაქონი, რომელიც მდივან-ბეგს მეთოდის ეჭირა, თავისის სახნავითა, უხნავითა, სასხლავითა, ქვერ-მარნითა, წყლითა, წისქვილითა, მთითა, ბარითა, ტყითა, ჭალითა, მინდვრითა, სათიბითა და უთიბითა, ყოვლის თავისის სამართლიანის სამძღვრებით და შესავლითა და გამოსავლითა. ეს ზემოხსენებული ყმა და მამული თქვენთვის და შვილთა თქვენთათვის წყალობად გვიქნია და გვიბოძებია. გქონდესთ და გებედნიეროსთ.“ **(საქართველოს სიძველენი, 1910: 210).**

სოციალური ურთიერთობის შესახებ მოტანილი წყაროები ცხადყოფს, თუ როგორი დაძაბული ურთიერთობა იყო მემამულეთა შორის მამულებსა და ყმებთან დაკავშირებით. საკითხის მოსაგვარებლად, მთელ რიგ შემთხვევებში სამეფო კარის ჩარევაც კი გამხდარა საჭირო. დოკუმენტებში ვხვდებით ცნობებს ვარიანში მკვიდრი ყმების შესახებაც, თუმცა იქ არსებულ დემოგრაფიულ ვითარებასთან დაკავშირებით უფრო ვრცელი და სრულყოფილი ინფორმაცია გვხვდება თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში, რომელიც

მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. ვილაიეთის მიხედვით, ვარიანი მოხსენიებულია გორის ლივაში, საციციანოს ნაჰიეში. ლივა რამდენიმე ნაჰიეს აერთიანებდა ანუ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს, ნაჰიე კი თავის მხრივ სხვადასხვა სოფლებს მოიცავდა.

„სოფელი ვარიანი, ექვემდებარება საციციანოს

მახარა ძე თამაზასი	დიმიტრი ძე მისი
ლუნკაკა ძე მისი	ივანე ძმა მისი
ბერუა ძმა მისი	დიმიტრა ძე აგრემიასი
კოდრა ძე კონიასი	ზაქარა ძმა მისი
ბაბუნა ძმა მისი	ავთანდილ ძე ხარაბაჯასი აზნაურია
ბერუა ძე ჩელუასი	სამი ძე მისი
ბაჩუა ძმა მისი	ქაიხოსრო ძმა მისი
რამაზა ძე იმედასი	ჯაჯუნა ძე ესტატესი
არუთინ ძმა მისი	ბასისა ძე იორგისა
ბაჯიკა ძე ნასყიდასი	ნათა ძე თამაზასი
გელია ძე მისი	თამაზა ძე მისი
დათუნა ძმა მისი	ზაქარა ძე დათუნასი
იორგი ძე ზაქარასი	მირანა ძე თამაზასი
თამაზა ძე მისი	დათუნა ძე კოღინასი
ბაინდურ ძე ქიტესიასი	კოღინა ძე მისი
ბერი ძე იორგისა	

სოფელში ცხოვრობს 33 კაცი, მათ მფლობელობაშია 20 დღის სამეუფეო ვენახი, 20 დღის მიწა. გადასახადს იხდიან მარცვლეულ კულტურებზე: ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე ფეტვზე... ასევე მიწაზე, ვენახზე, ერბოზე, წისქვილებზე... მსხვილფეხა საქონლის გარდა ჰყოლიათ ცხვარი და ღორი, მისდევდნენ მეფუტკრეობას და მათზე დაკისრებულ გადასახადებსაც იხდიდნენ. შესამჩნევია ისიც, რომ საკუთარი სახელების ჩამონათვალში მთელი რიგი უზუსტობებია **(თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, 2009: 173-174).** .

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, განმანათლებელ-ენციკლოპედისტის, მწერლის, მეცნიერის, ლექსიკოგრაფის იოანე ბაგრატიონის ქართლ-კახეთის აღწერაში (1794-1799 წლები) ვარიანი იმ სოფლებს შორისაა, რომლებიც მიეწერება: „ქ. ქრცხინვალის ხეობასა და სამაჩაბლოს ხეობას, რაც სოფლები სამეფო, სათავადო, სააზნაურო, საეკლესიო და დიდის ლიახვით ირწყვის." **(ბაგრატიონი იოანე, 1986:41).**

გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერის უწყისის მიხედვით: ვარიანში ცხოვრობენ თავად იასე მაჩაბლის ოსები (8 ოჯახი, 41 მამაკაცი, 22 ქალი), აზნაურ ქაიხოსრო ხერხეულიძის (1 ოჯახი, 3 მამაკაცი, 3 ქალი) თავად ლუარსაბ მაჩაბლის (2 ოჯახი, 6 მამაკაცი, 5 ქალი), თავად ამილახვრისა და მაჩაბლის (3 ოჯახი, 15 მამაკაცი, 12 ქალი), თავად ერისთავის (2 ოჯახი, 5 მამაკაცი, 4 ქალი)... აქვე ვხვდებით სამთავროს მონასტრის ყმებსა (1 ოჯახი, 7 მამაკაცი, 3 ქალი) და ახლად ჩამოსახლებულ ტყვედნამყოფ ქართველებს (4 ოჯახი, 11 მამაკაცი, 11 ქალი) (ალიმბარაშვილი, 2021: 74).

სულ: 21 ოჯახი, 88 მამაკაცი, 60 ქალი.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ჩვენამდე მოღწეული საეკლესო ყმების ნუსხის მიხედვით, ვარიანში თავისი ყმები ჰყავდა სამთავისის ეკლესიას:

„ვარიანში სამთავისის ღვთეების ეკლესიის ყმა:

ქ. აბულაძე გოგია კომლი ა.

ქ. აქავ აბულაძე ტეტია და ლაზარე კობლი ა **(ჯავახიშვილი, 1974: 187).** სულ: 2 კომლი, 3 მამაკაცი... 1818 წლის აღწერაში ისინი ვარიანში მცხოვრებთა შორის აღარ ჩანან...

თავის მხრივ, საინტერესოა ტყვედნამყოფი ქართველების საკითხი, რაც გვახსენებს 1792 წლის 14 მარტით დათარიღებულ ერეკლე მეორის წერილს იოსებ მიშკარბაშისადმი: „შენი წიგნი მოგვივიდა და რაც მოგეწერათ, ყველა შევიტყვით, აჭარის ამბავიც შევიტყვით. სულეიმან ფაშაშვილს კაცი რომ გამოუგზავნია და გარიგება მოუნდომებია, ისიც შევიტყვით. აზრუმის ფაშის გამოცვლაცა ვცანით და მდივან აფენდის რომ ვარიანელი ტყვე ჰყავს, ამის ბარობაზე რაც ლაპარაკი და დავა გარდაგხდომოდა, ესეები ყველა წვრილად ვიუწყეთ. ძალით ხომ არ იქნება და თუ დაგვახსნევინებ, ჩვენ დიდად დავიმადლებთ. ჩვენს ძმას - ისაყ ფაშასაც მოახსენე ჩვენ მაგიერად, რომ თუ მაგ ტყვეს ეშველა რამე, მაგისი სადღეგრძელო იქნება.“ **(საქართველოს სიძველენი, 1910: 61).**

წერილის ადრესატი იოსებ მიშკარბაში იგივე იოსებ ბებუთაშვილი გახლდათ. მიშკარბაში კი მონადირეთუხუცესის შემცვლელი თანამდებობა იყო XVIII საუკუნის II ნახევარში. როგორც ჩანს, ერეკლეს იგი მიშკარბაშობაზე უფრო მეტად მეზობელ სახანოებში დესპანის როლის შესასრულებლად სჭირდებოდა და გარკვეული საგანგებო დავალებების შესრულებას ავალებდა **(ენციკლოპედია „თბილისი“, 2002: 336).** მეფე იოსების მეშვეობით ამყარებს ურთიერთობას ოსმალეთის სახელმწიფო მოხელეებთან და სხვა საკითხებთან ერთად ცდილობს ვარიანელი ტყვე გამოიხსნას, რომელიც მდივან აფენდის ჰყოლია. თუ გავითვალისწინებთ, რამდენი მცირე თუ დიდი ბრძოლის გადატანა მოუწიათ ქართლ-კახეთის მეფეს და მის ქართველობას, ტყვედნამყოფობაც ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა იმ დროისთვის.

დავუბრუნდეთ ისევ, 1804 წლის კამერალურ აღწერას; სოფელში საბატონო და საკუთარი მიწის ფართი შეადგენს 200 დღიურს, ხოლო საეკლესიო 40 დღიურს. ბაღ-ვენახების რაოდენობა 13-ია, სადაც მოჰყავთ 400 კოკა ღვინო, მონასტრის საკუთრებაში არსებული 2 ვენახიდან მოჰყავთ 40 კოკა ღვინო. აქვთ ორი ერთთვლიანი წისქვილი. ვარიანელთა ძირითადი საქმიანობა იყო მიწათმოქმედება და მევენახეობა. ტყე არა, ღვინო და პური სოფელში უხვად ჰქონიათ. გლეხი ვალდებული იყო მებატონისთვის გადაეხადა 6 კოდი პური, ღვინო და ემუშავა მის კარ-მიდამოში.

1818 წლის აღწერაში ვარიანში მცხოვრებთა რიგითობა მებატონეთა ჩამონათვალს მოჰყვება:

თავად თეიმურაზ და სიმონ მაჩაბლის გლეხები, რომლებიც ძველი აღწერით იასე მაჩაბელს ეკუთვნოდნენ.

თავადი ბერი მაჩაბელაშვილი, მისი ცოლი და ქალიშვილები. მასთან ერთად ცხოვრობენ ძმები გოგია (ქვრივი) და ბეჟანი. გოგიას ჰყავს ვაჟი - ნიკოლოზი, ბეჟანის - ცოლი და შვილები: ზურაბი, დავითი, სოლომონი და სიმონი.

დავით ქებაძე, მისი ცოლი და ვაჟები: ნინია, გრიგოლ და სიმონ. ნინიას ცოლი. ქალიშვილები.

ბერო ქებაძე, მისი ცოლი და ვაჟები: ვასილი, შიო (დაოჯახებული), ნიკოლოზი, ზაქარია და ტეტია. ცხოვრობს გაუყრელად ძმასთან - დათუასთან ერთად.

მოსე არაშიძე (არეშიძე), მისი ცოლი, ვაჟები: ნიკოლოზი, ნინია, ტეტია და ქალიშვილი, მასთან ერთად ცხოვრობენ ძმები: ქიტესა, ზურაბ და გიორგი (დაოჯახებული).

თავად მიხეილ მაჩაბლის გლეხები, რომელიც იასე მაჩაბლისგან, როგორც ნათესავმა, მემკვიდრეობით მიიღო:

დავით სტეფანიშვილი, მისი ცოლი და ვაჟი ტეტია. მასთან ერთად ცხოვრობს ძმა ივანე, მისი ცოლი, ქალიშვილი, ვაჟი ზაქარია. მათი დედა.

თავად იასე მაჩაბლის გლეხები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ბარძიმ მაჩაბელს გადაეცა:

დავით კოკაური, მისი ცოლი, ვაჟები: პეტრე, სოსია და ქალიშვილები. მასთან ერთად ცხოვრობენ ძმები: ივანე და ბეჟანი, მისი ცოლი და ქალიშვილი, ნათესავები: პეტრე, გრიგოლი, სიმონი, გრიგოლის ცოლი.

ჰექტორ მაჩაბლის გლეხები, რომლებიც ეკუთვნოდა იასე მაჩაბელს:

ტეტია ბუგულაძე, მასთან ერთად ცხოვრობს ძმა სოსია და მათი დედა.

ზურაბ ხერხეულიძის გლეხები, რომელიც მამამისს - ქაიხოსრო ხერხეულიძეს ეკუთვნოდნენ:

ბერი აბრამაშვილი, მისი ცოლი და ვაჟები: სოსია, ივანე, ზაქარია და აბრამი.

თეიმურაზ ბორტიშვილ-მაჩაბლის გლეხები, რომლებიც მამამისს - ზაზა მაჩაბელს ეკუთვნოდნენ:

ბერუა ქესუაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: თევდორე და ნინია, ქალიშვილი.

თეიმურაზ ბორტიშვილ-მაჩაბლის გლეხები, რომლებიც ადრე ნიკოლოზ ამილახვარს ეკუთვნოდნენ:

სიმონ დიაკვნიშვილი, მისი ცოლი, ვაჟი ბერუა, ქალიშვილები, ნათესავი ანდრია, მათი დედა, სიმონის დედა.

ოთარ კერესელიძე, მისი ცოლი, ძმები: ქიტესა და შიო.

გიორგი უჯაშური, მისი ცოლი, ძმა ქაიხოსრო, მისი ცოლი, მათი დედა, ნათესავები: გაბრიელ და გიორგი, მათი დედა.

გიგოლა ხუციშვილი, მისი ცოლი, ვაჟი ნინია, ქალიშვილი.

შანშე ერისთავის გლეხები:

შიო კოზაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: თამაზი, ზურაბი, აბრამი, ზაქარია, ძმა გოგია, მისი ცოლი, ვაჟები: პაატა, იოსები, ამირანი, სიმონი.

სოსია სირბილაძე, მისი ძმა ლაზარე, მათი დედა.

პეტრე სირბილაძე, მისი ცოლი, ქალიშვილი, ძმა ანტონი, მისი ცოლი, ნათესავი ანდრია.

პეტრე ადუაშვილი, მისი ცოლი და ქალიშვილი, ვაჟი თევდორე, ბიძაშვილი ზაქარია, ზაქარიას ცოლი და დედა.

ბერო მამულაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: სიმონი და სოლომონი.

ივანე ბერძენიშვილი, მისი ცოლი, დედა, ქალიშვილი, ძმა ტეტია, ნათესავები: ვასილ და სოსია, ვასილის ცოლი.

მოურავ ბერო მაჩაბელიშვილის გლეხები:

გრიგოლ გებუაძე (დგებუაძე), მისი ცოლი, მისი მოსამსახურე გრიგოლი.

ბარამ ბორტიშვილ-მაჩაბლის გლეხები, რომლებიც ადრე ზაზა მაჩაბელს ეკუთვნოდნენ:

ბეჟან ხეციანელი (ხვედელიანი-? - დ.ა), მისი ცოლი, ნათესავები: ნიკოლოზი, თევდორე, სოსია და ბერი, მათი დედა.

გოგია კერესელიძე, მისი ცოლი, ვაჟები: სოსია და ტეტია, ბერუას ცოლი, ვაჟი გლახა.

ბერუა ბედიანაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი შიო, ძმები: გოგია (ქვრივი) და ნიკოლოზი, ნიკოლოზის ცოლი და ქალიშვილი.

პეტრე კერესელიძე, მისი ცოლი, ვაჟი თევდორე, ძმები: ანდრია, სიმონი, გიორგი, ანდრიას ცოლი, ვაჟი ქიტო.

ტეტია ზუბიაშვილი (ზუბაშვილი - დ.ა), მისი ცოლი, დედა, ძმები: თევდორე, გაბრიელი, გიორგი, მათი დედა.

გაბრიელ კერესელიძე, მისი ცოლი, დედა, ვაჟი დავითი, ნათესავი ზურაბი, მისი ცოლი.

ობოლი ბერუა მეგრელიშვილი, მისი ძმა გრიგოლი, მათი დედა.

მემამულეების გარდა, სოფლის მოსახლეობა 26 კომლი საბატონო გლეხია, ზოგიერთი მათგანი სასურსათო გადასახადს უხდის მემამულეებს **(ალიმბარაშვილი, 2021: 492-496).**

კომლებს მიწერილი აქვთ, თუ რომელი ოჯახი რამდენ დღიურ საბატონო და ნასყიდ მიწას ფლობდა, ჰქონდათ თუ არა საკუთარი საცხოვრებელი სახლი, როგორი იყო მამულებიდან მათი შემოსავალი პურისა და ღვინის სახით. რამდენიმე ოჯახის შემოსავლის წყარო ორთვლიანი წისქვილები იყო. მისდევდნენ მესაქონლეობას და ჰყავდათ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხენები, ცხვრები, თხები... გლეხების უმეტესობას მითითებული აქვს, რომ თავს მიწაზე მუშაობით ირჩენდნენ, თუმცა გიგოლა ხუციშვილის ოჯახი ხელსაქმეს მისდევდა, იცოდნენ ქსოვა, რაც წლიური სარჩოს მოპოვებაში ეხმარებოდათ.

როგორც 1818 წლის აღწერიდან ჩანს, გოგებაშვილების ორი კომლი იმ დროისთვის სოფელ ახალდაბაში ცხოვრობდა, ისინი მანუჩარ და შიოშ თუმანიშვილებს ეკუთვნოდნენ, ადრინდელ აღწერაში კი სულხან თუმანიშვილის კუთვნილი გლეხების რიგში ვხვდებით:

1. ნინია (იოანე - 1841 წლის საეკლესიო წყაროს მიხედვით, იხ. ქვემოთ - დ.ა.) გოგებაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი სიმონი, ქალიშვილი, ძმები: სოსია, დათუა, მათი ცოლები, დათუას ვაჟები: ზურაბი, პავლე, მისი ქალიშვილი. ჰქონდათ საცხოვრებელი სახლი, 15 დღიური საბატონო მიწა, ამუშავებდნენ 2 დღიურ მიწას, ვენახიდან იღებდნენ 20 კოკა ღვინოს. ჰყავდათ 15 სული რქოსანი პირუტყვი, 1 ცხენი, შემოსავალი ჰქონდათ ერთთვლიანი წისქვილიდან 10 კოდის ოდენობით, წლიურ სარჩოს მიწათმოქმედებით და სხვა საქმიანობით მოიპოვებდნენ.

2. გლახა გოგებაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: ნინია, გიორგი, ქალიშვილი. ჰქონდათ საცხოვრებელი სახლი, 15 დღის სახნავი საბატონო მიწა, ამუშავებდნენ 8 დღიურ მიწას, სადაც მოსდიოდათ 100 კოდი პური, ვენახიდან იღებდნენ 15 კოკა ღვინოს, წლიურ სარჩოს მიწათმოქმედებით და სხვა საქმიანობით მოიპოვებდნენ **(ალიმბარაშვილი, 2021: 497).**

იაკობ გოგებაშვილი ნინიას (იოანე) შვილიშვილი იყო, სიმონის ვაჟი. „ლიახურის ხეობის მცხოვრებთა აღწერის XVIII საუკუნის შუაწლების დავთრის“ მიხედვით, „გორის ახალდაბაში“ გოგებაშვილების მხოლოდ ერთი კომლია:

„ქ. ბეჟან თუმანიშვილის ყმა გოგებას შვილი კაცია მეკომლე“ **(ჯავახიშვილი, 1967: 250),** რომელიც უნდა ყოფილიყო დიდი მწერლის წინაპარი.

1831 წლის კამერალურ აღწერის მიხედვით სამთავისის ეკლესიის ყმები იყვნენ სოფელ ვარიანში მცხოვრები (რუსული ტექსტი):

კომლი 1. სოსია ტეტიას ძე აბულაძე - 30 წლის, მისი მეუღლე ნინო - 20 წლის.

სოსიას ძმა გრიგორი - 22 წლის, მისი მეუღლე ხორეშანი - 15 წლის.

ლაზარე აბულაძის ქვრივი ნენე - 45 წლის,

მისი შვილები: ანდრია - 10 წლის, თევდორე - 8 წლის, ქალიშვილი მარიამი - 12 წლის.

სოსიას დები: მართა - 15 წლის, ელიზავეტა (ელისაბედი) - 10 წლის, მარინე - 8 წლის.

სულ: 11 სული, 4 მამრობითი სქესის, 7 მდედრობითი.

კომლი 2. დავით (გიორგის ძე) აბულაძე - 60 წლის, მისი მეუღლე ელენე - 40 წლის, მათი შვილები: კიკოლა - 20 წლის, ეფთიმე (ექვთიმე) – ½ წლის.

დავითის ძმები: ქაიხოსრო - 50 წლის, ზაქარია - 40 წლის.

ქაიხოსროს მეუღლე მელანია - 30 წლის, მათი შვილები: დიმიტრი - 10 წლის, ზურაბი - 3 წლის, ქალიშვილი სიდონია - 6 წლის.

ზაქარიას მეუღლე ხორეშანი - 26 წლის, მათი შვილი გაბრიელი - 3 წლის, ქალიშვილები: დარეჯანი - 7 წლის, ელიზავეტა (ელისაბედი) – 5 წლის.

დავითის ძმიშვილები: ივანე - 30 წლის, სოლომონი - 20 წლის.

ივანეს მეუღლე თამარა - 20 წლის, მისი ქალიშვილი კონია - ½ წლის.

სოლომონის მეუღლე ელიზავეტა - 15 წლის.

ივანეს დედა ახოა - 60 წლის.

სულ: 20 სული, 10 მამრობითი სქესის, 10 მდედრობითი.

კომლი 3. კიკოლა კაციას ძე გვარამაძე - 28 წლის, ქვრივი,

მისი ძმა რამაზი - 25 წლის, მისი მეუღლე თინათინი - 20 წლის, მათი შვილი ზაქარია - ½ წლის.

სულ: 4 სული, 3 მამრობითი სქესის, 1 მდედრობითი.

მოგვიანებით კომლი გადახაზულია.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სამთავისის ეკლესიის ყმები მხოლოდ აბულაძეები იყვნენ: გოგია (გიორგი), ტეტია და ლაზარე. 1831 წლისთვის არცერთი მათგანი ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ მათი შთამომავლები კვლავ სამთავისის ღვთაების ეკლესიას ეკუთვნოდნენ. სულ ვარიანში სამთავისის ეკლესიას ეკუთვნოდა 3 კომლი, 17 მამრობითი სქესის და 18 მდედრობითი (35 სული). აქედან აბულაძეები 2 კომლი, 14 მამრობითი სქესის, 17 მდედრობითი (31 სული), გვარამაძეები - 1 კომლი, 3 მამრობითი სქესის და 1 მდედრობითი (4 სული).

საბატონო მიწაზე ცხოვრობდნენ:

გიორგი ზუბალოვის (ზუბალაშვილი) ყმები: ხვედიანები (ხვედელიანები) - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 4 ქალი (8 სული); ბედიანაშვილები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 4 ქალი (8 სული); კერესელიძეები - 4 კომლი, 20 მამაკაცი, 14 ქალი (34 სული), აქედან კერესელიძეების ერთი კომლი მოგვიანებით გადახაზულია (4 მამაკაცი, 2 ქალი); ზუბაშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 4 ქალი (7 სული); მეგრელიშვილები - 1კომლი, 5 მამაკაცი, 3 ქალი (8 სული); ხუციშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი (6 სული); ხიზანაშვილები (ხიზანიშვილები) – 2 კომლი, 10 მამაკაცი, 7 ქალი (17 სული):

კომლი 1. ტეტიას ზურაბას ძე ხვედიანი (ხვედელიანი) - 25 წლის, მისი მეუღლე ნინო - 16 წლის.

ტეტიას ძმა სოსია - 20 წლის, უცოლო.

კიკოლა ხვედიანის (ხვედელიანი) ქვრივი ნინო - 35 წლის, მისი შვილები: ბერი - 18 წლის, თევდორე - 15 წლის. ქალიშვილები: თამარა - 13 წლის, მართა - 7 წლის.

სულ: 8 სული, 4 მამრობითი სქესის, 4 მდედრობითი.

კომლი 2. ნიკალა ბედიანი შვილი - 45 წლის, მისი მეუღლე ხორეშანი - 30 წლის, მათი შვილი იაკობი - 10 წლის, ქალიშვილი სიდონია - 3 წლის.

გოგია ბედიანი შვილის ქვრივი თინათინი - 30 წლის, მისი ქალიშვილი თამარა - 2 წლის.

ნიკალას ძმიშვილები, ბერუას შვილები: შიო - 15 წლის, გაბრიელი - 10 წლის.

სულ: 8 სული, 4 მამრობითი სქესის, 4 მდედრობითი.

კომლი 3. ბერუა კარასელიძე (კერესელიძე) – 55 წლის, მისი მეუღლე მარინე - 37 წლის, მათი შვილები: გლახა - 15 წლის, ალექსი - 9 წლის, პავლე - 7 წლის, ქალიშვილი ტასია - 4 წლის.

ბერუა კარასელიძის (კერესილიძე) ქვრივი ანნა - 50 წლის, მისი შვილი ტეტია - 25 წლის, უცოლო.

სულ: 8 სული, 5 მამრობითი სქესის, 3 მდედრობითი.

კომლი 4. ანდრია კერესელიძე - 40 წლის, მისი მეუღლე ნინო - 30 წლის, მათი შვილები: ალექსი - 15 წლის, ნინია - 7 წლის, ქალიშვილი მელანია - 5 წლის.

ანდრიას ძმა სოსია - 30 წლის, მისი მეუღლე თინათინი - 20 წლის, მათი შვილები: სოლომონი - 4 წლის, გიორგი - 1 წლის.

პეტრე კერესელიძის ქვრივი ელენე - 40 წლის, მისი შვილები: თევდორე - 20 წლის, კიკოლა - 12 წლის.

თევდორეს მეუღლე მარიამი - 15 წლის.

სულ: 13 სული, 8 მამრობითი სქესის, 5 მდედრობითი.

კომლი 5. გაბრიელ კერესელიძე - 55 წლის, მისი მეუღლე მაია - 40 წლის, მათი შვილები: დავითი - 18 წლის, უცოლო, სოსია - 10 წლის, გიორგი - 4 წლის, ქალიშვილი თამარა - 2 წლის.

სულ: 6 სული, 4 მამრობითი სქესის, 2 მდედრობითი.

კომლი 6. ტეტია ზუბაშვილის ქვრივი ნენე - 40 წლის, მისი შვილები: სოსია - 8 წლის, სიმონი - 4 წლის, ქალიშვილები: ნინო - 12 წლის, მართა - 5 წლის.

ტეტიას ძმა გაბრიელი - 30 წლის, მისი მეუღლე ნინო - 20 წლის.

სულ: 7 სული, 3 მამრობითი სქესის, 4 მდედრობითი.

კომლი 7. ბერუა მეგრელი შვილი - 35 წლის, მისი მეუღლე მელანია - 20 წლის, მათი შვილები: სოსია - 5 წლის, გიორგი - 2 წლის, ქალიშვილი სოფია - 6 წლის.

ბერუას ძმები: გაბრიელი - 23 წლის, დავითი - 15 წლის.

მათი დედა მაია - 60 წლის.

სულ: 8 სული, 5 მამრობითი სქესის, 3 მდედრობითი.

კომლი 8. გიგოლა ხუცინა შვილის (ხუციშვილი) ქვრივი ვარვარა - 30 წლის, მისი შვილები: ალექსი - 15 წლის, ზაქარია - 6 წლის, გიორგი - 3 წლის, ქალიშვილები: სიდონია - 8 წლის, სოფია - 1 წლის.

სულ: 6 სული, 3 მამრობითი სქესის, 3 მდედრობითი.

კომლი 9. გლახა კერესელიძე - 30 წლის, მისი მეუღლე ხანუმა - 25 წლის, მათი შვილები: გიორგი - 4 წლის, ალექსი - 1 წლის, ქალიშვილები: ქეთევანი - 6 წლის, მართა - 3 წლის.

გლახას დედა ხამფერა - 60 წლის.

სულ: 7 სული, 3 მამრობითი სქესის, 4 მდედრობითი.

კომლი 10. გიორგი ხიზანა შვილი (ხიზანიშვილი) – 38 წლის, მისი მეუღლე ვარვარა - 20 წლის, მათი შვილები: გაბრიელი - 6 წლის, იოსეფი (იოსების მაგივრად წერდნენ იოსეფს) – 2 წლის.

სულ: 4 სული, 3 მამრობითი სქესის, 1 მდედრობითი.

კომლი 11. დავით ხიზანა შვილი (ხიზანიშვილი) – 30 წლის, მისი მეუღლე ხანუმა - 25 წლის, მათი შვილი გიორგი - 3 წლის, ქალიშვილები: ქალია – 6 წლის, თინათინი - 5 წლის, ხამფერა - 2 წლის.

დავითის ძმები: ივანე - 30 წლის, დიმიტრი - 25 წლის.

ივანეს მეუღლე ანნა - 25 წლის, მათი შვილები: გრიგორი - 7 წლის, სოსია - 4 წლის, სოლომონი - 3 წლის.

დიმიტრის მეუღლე ქეთევანი - 15 წლის.

სულ: 13 სული, 7 მამრობითი სქესის, 6 მდედრობითი.

თავადების თეიმურაზ და სიმონ მაჩაბლების (წყაროში მოხსენიებულნი არიან, როგორც მაჩაბელოვები) ყმები: ქებაძეები - 3 კომლი, 20 მამაკაცი, 19 ქალი (39 სული); არეშიძეები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 3 ქალი (5 სული), კასრაძეები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 3 ქალი (7 სული); თვითონ მაჩაბელი(ს)შვილები - 2 კომლი, 11 მამაკაცი, 4 ქალი:

კომლი 1. დავით ქებაძე – 70 წლის, მისი მეუღლე მაია - 60 წლის, მათი შვილები: ნინია - 45 წლის, გოგია - 40 წლის, ქვრივი, სიმონ - 35 წლის, ზურაბი - 30 წლის.

ნინიას მეუღლე ელიზავეტა (ელისაბედი) – 30 წლის.

სიმონის მეუღლე ანნა – 25 წლის, მათი შვილი იაკობი - 4 წლის.

ზურაბის მეუღლე ნენე - 17 წლის.

სულ: 10 სული, 6 მამრობითი სქესის, 4 მდედრობითი.

კომლი 2. ბერუა ქებაძე – 66 წლის, მისი მეუღლე ხანუმა - 59 წლის, მათი შვილები: ვასილი - 40 წლის, ნიკალა - 37 წლის, ზაქარია - 35 წლის, ტეტია - 30 წლის, თევდორე - 20 წლის, უცოლო.

ვასილის მეუღლე მართა – 30 წლის, მათი ქალიშვილი ანნა - 1 წლის.

ნიკალას მეუღლე მაია – 27 წლის.

ზაქარიას მეუღლე ნინო - 25 წლის, მათი ქალიშვილი სიდონია - 1 წლის.

ტეტიას მეუღლე თინათინი - 17 წლის.

ბერუას შვილიშვილები, შიოს ქალიშვილები: ქალია - 13 წლის, ტასია - 8 წლის, სოფია - 2 წლის.

ბერუას ქალიშვილები: კეკელა - 14 წლის, ნენე - 13 წლის.

სულ: 18 სული, 6 მამრობითი სქესის, 12 მდედრობითი.

კომლი 3. გიორგი არეშიძე – 40 წლის, მისი მეუღლე ირინე - 30 წლის, მათი შვილი სიმონი - 13 წლის, ქალიშვილები: მართა - 6 წლის, ეფემია - 3 წლის.

სულ: 5 სული, 2 მამრობითი სქესის, 3 მდედრობითი.

კომლი 4. ვასილ ქებაძე – 65 წლის, მისი მეუღლე თინათინი - 50 წლის, მათი შვილები: გაბრიელი - 35 წლის, გიორგი - 25 წლის, შიო - 15 წლის, თევდორე - 9 წლის, ქალიშვილი თამარა - 15 წლის.

გაბრიელის მეუღლე მელანია - 30 წლის, მათი შვილები: ალექსი - 9 წლის, სიმონი - 7 წლის, ზაქარია - 2 წლის.

სულ: 11 სული, 8 მამრობითი სქესის, 3 მდედრობითი.

კომლი 5. დავით ქებაძე – 35 წლის, მისი მეუღლე ნინო - 30 წლის, მათი შვილები: გაბრიელი - 8 წლის, ალექსი - 6 წლის, ქალიშვილი ქეთევანი - 5 წლის.

დავითის ძმა პეტრე - 25 წლის.

მათი ქალიშვილი (სავარაუდოდ - და) მარიამი - 17 წლის.

სულ: 7 სული, 4 მამრობითი სქესის, 3 მდედრობითი.

კომლი 6. ბერი მაჩაბელი შვილი – 55 წლის, მისი მეუღლე ქეთევანი - 40 წლის, მათი ქალიშვილი სოფია - 13 წლის.

ბერის ძმა ბეჟანი - 50 წლის, მისი მეუღლე დარეჯანი - 40 წლის, მათი შვილები: ზურაბი - 20 წლის, დავითი - 18 წლის, სიმონი - 17 წლის, ანდრია - 10 წლის, ზაქარია - 8 წლის, დიმიტრი - 2 წლის.

სულ: 11 სული, 8 მამრობითი სქესის, 3 მდედრობითი.

კომლი 7. გოგია მაჩაბელი შვილი – 52 წლის, მისი მეუღლე ვარვარა - 45 წლის, მათი შვილები: ნიკალა - 18 წლის, უცოლო, ელიზბარი - 6 წლის.

სულ: 4 სული, 3 მამრობითი სქესის, 1 მდედრობითი.

ზურაბ ქაიხოსროს ძე ხერხეულიძის ყმები: აბრამაშვილები - 1 კომლი, 5 მამაკაცი, 3 ქალი (8 სული):

კომლი 1. ბერი აბრამა შვილის ქვრივი მაია - 47 წლის, მისი შვილები: ივანე - 30 წლის, სოსია - 28 წლის, ზაქარია - 18 წლის, აბრამი - 15 წლის, ბესარიონი - 12 წლის.

ივანეს მეუღლე მარიამი - 20 წლის, მათი ქალიშვილი ტასია - 1 წლის.

სულ: 8 სული, 5 მამრობითი სქესის, 3 მდედრობითი.

თავად მიხეილ მაჩაბლის ყმები: სტეფანაშვილები - 2 კომლი, 6 მამაკაცი, 9 ქალი (15 სული):

კომლი 1. დავით სტეფანა შვილი – 50 წლის, მისი მეუღლე ანნა - 40 წლის, მათი შვილები: ტეტია - 25 წლის, სტეფანე - 20 წლის, ქალიშვილები: ნინო - 15 წლის, სიდონია - 10 წლის, ელიზავეტა (ელისაბედი) – 9 წლის, მელანია - 8 წლის.

ტეტიას მეუღლე ანნა - 20 წლის.

სტეფანეს მეუღლე ელიზავეტა (ელისაბედი) – 15 წლის.

სულ: 10 სული, 3 მამრობითი სქესის, 7 მდედრობითი.

კომლი 2. ივანე სტეფანა შვილი – 45 წლის, მისი მეუღლე სოფია - 35 წლის, მათი შვილები: ზაქარია - 20 წლის, უცოლო, გიგოლა - 5 წლის, ქალიშვილი ვარვარა - 7 წლის.

სულ: 5 სული, 3 მამრობითი სქესის, 2 მდედრობითი.

თავად ბარძიმ მაჩაბლის ყმები: კუკაურები (კოკაურები) – 2 კომლი, 14 მამაკაცი, 9 ქალი (23 სული):

კომლი 1. დავით კუკაური (კოკაური) – 55 წლის, მისი მეუღლე მარინა - 45 წლის, მათი შვილები: პეტრე - 25 წლის, სოსია - 18 წლის, უცოლო, ზაქარია - 15 წლის, უცოლო, ალექსი - 7 წლის, ქალიშვილი სალომე - 10 წლის.

პეტრეს მეუღლე მელანია - 20 წლის, მათი შვილი მიხეილი - 3 წლის.

სულ: 9 სული, 6 მამრობითი სქესის, 3 მდედრობითი.

კომლი 2. ბეჟან კუკაური (კოკაური) – 55 წლის, მისი მეუღლე მაია - 40 წლის, მათი ქალიშვილი კეკელა - 10 წლის.

ძმა ივანე - 60 წლის, უცოლო.

მათი ძმიშვილები: ტეტია - 30 წლის, გოგია - 25 წლის, ნიკალა - 20 წლის, პავლე - 15 წლის.

ტოტიას მეუღლე ახუა - 20 წლის, მათი შვილები გიგოლა - 5 წლის, ზურაბი - 3 წლის, ქალიშვილი მელანია - 2 წლის.

გოგიას მეუღლე ვარვარა - 20 წლის, მათი ქალიშვილი თინათინი - 3 წლის.

სულ: 14 სული, 8 მამრობითი სქესის, 6 მდედრობითი.

თავად ვიქტორ (ჰექტორ) მაჩაბლის ყმები: ბუზალაძეები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 3 ქალი (5 სული):

კომლი 1. დავით ბუზალაძე – 30 წლის, მისი მეუღლე ხორეშანი - 20 წლის, მათი შვილი გიორგი - 3 წლის, ქალიშვილი ქალია - 1 წლის.

ნინიას ქვრივი მაია - 60 წლის.

სულ: 5 სული, 2 მამრობითი სქესის, 3 მდედრობითი.

თავად თეიმურაზ ბორტიშვილ-მაჩაბლის ყმები: ქასუშაშვილები (ქესუაშვილები) – 1 კომლი, 4 მამაკაცი, 4 ქალი (8 სული); დიაკვნიშვილები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 5 ქალი (9 სული); უჯამერლიშვილები (ურჯუმელაშვილები, 1818 წლის წყაროს მიხედვით უჯაშურები) – 1 კომლი, 4 მამაკაცი, 3 ქალი (7 სული):

კომლი 1. ბერუა ქასუშაშვილის (ქესუაშვილი) ქვრივი ეკატერინე – 60 წლის, მისი შვილები: თევდორე - 30 წლის, ნინია - 20 წლის, სოსია - 18 წლის, ქალიშვილი ელიზავეტა (ელისაბედი) – 8 წლის.

თევდორეს მეუღლე ანნა - 20 წლის, მათი შვილი გიორგი - ½ წლის.

ნინიას მეუღლე მართა - 15 წლის.

სულ: 8 სული, 2 მამრობითი სქესის, 4 მდედრობითი.

კომლი 2. სიმონ დიაკონაშვილი (დიაკვნიშვილი) – 40 წლის, მისი მეუღლე ტასია - 30 წლის, მათი შვილები: ბერუა - 15 წლის, თევდორე - 12 წლის, ნინია - 5 წლის, ქალიშვილები: ნინო -7 წლის, მარიამი - 6 წლის, ელენე – 3 წლის.

გოგია დიაკონა შვილის (დიაკვნიშვილი) ქვრივი თამარა - 60 წლის.

სულ: 9 სული, 4 მამრობითი სქესის, 5 მდედრობითი.

კომლი 3. ქაიხოსრო უჯამერლიშვილები (ურჯუმელაშვილები) – 40 წლის, მისი მეუღლე ნენე - 30 წლის, მათი შვილი სოლომონი - 14 წლის, ქალიშვილი ნინო - 2 წლის.

ქაიხოსროს ძმიშვილები, გიორგის შვილები: თევდორე - 10 წლის, იაკობი - 8 წლის, მათი და ნინო - 5 წლის.

სულ: 7 სული, 4 მამრობითი სქესის, 3 მდედრობითი.

თავად ქაიხოსრო ბორტიშვილ-მაჩაბლის ყმები: კერესელიძეები - 1 კომლი, 6 მამაკაცი, 4 ქალი (10 სული); უჯამერლები (უჯარმელები) – 1 კომლი, 4 მამაკაცი, 4 ქალი (8 სული):

კომლი 1. ოთარ კარასელიძე (კერესელიძე) – 55 წლის, მისი მეუღლე მაია - 40 წლის, მათი შვილები: იოსეფი - 12 წლის, ზაქარია - 7 წლის.

ოთარის ძმა ლაზარე - 40 წლის, მისი მეუღლე ვარვარა - 30 წლის, მათი ქალიშვილი ელიზავეტა (ელისაბედი) - 2 წლის.

ოთარის ძმიშვილები: დავით ქიტესას ძე - 20 წლის, რამაზ ივანეს ძე - 15 წლის.

დავითის დედა ანნა - 40 წლის.

სულ: 10 სული, 6 მამრობითი სქესის, 4 მდედრობითი.

კომლი 2. გაბრიელ უჯამერლი (უჯარმელი) – 40 წლის, მისი მეუღლე ანნა - 30 წლის, მათი ქალიშვილი სიდონია - ½ წლის.

გაბრიელის ძმა გიორგი - 30 წლის, მისი მეუღლე ტასია - 20 წლის, მათი შვილი ალექსი - 1/12 წლის, ქალიშვილი სალომე - 3 წლის.

გაბრიელის ძმიშვილი ტეტია ნინიას ძე - 12 წლის.

სულ: 8 სული, 4 მამრობითი სქესის, 4 მდედრობითი.

თავად ნიკალა (ნიკოლოზ) ამილახვაროვის (ამილახვრის) ყმები: სირბილაძეები - 1 კომლი, 6 მამაკაცი, 6 ქალი (12 სული); ადუაშვილები - 1 კომლი, 7 მამაკაცი, 4 ქალი (11 სული); ბერძენაშვილები (ბერძენიშვილები) - 2 კომლი, 8 მამაკაცი, 5 ქალი (13 სული); მამულაშვილები - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 2 ქალი (4 სული):

კომლი 1. პეტრე სირბილაძე – 45 წლის, მისი მეუღლე მარინე - 30 წლის, მათი შვილები: სოსია - 12 წლის, გიორგი - 2 წლის, ქალიშვილი ანნა - 7 წლის.

პეტრეს ძმა სიმონი - 40 წლის, მისი მეუღლე მართა - 30 წლის, მათი ქალიშვილი ნინო - 9 წლის.

პეტრეს ბიძაშვილი ანდრია - 35 წლის, მისი მეუღლე ელიზავეტა (ელისაბედი) – 30 წლის, მათი შვილი გრიგორი - 11 წლის, ქალიშვილი მარიამი - 8 წლის.

სულ: 12 სული, 6 მამრობითი სქესის, 6 მდედრობითი.

კომლი 2. პეტრე ადუაშვილი – 50 წლის, მისი მეუღლე ელენე - 40 წლის, მათი შვილები: თევდორე - 25 წლის, უცოლო, გიორგი - 15 წლის, უცოლო, ქალიშვილი დარეჯანი - 14 წლის.

პეტრეს ბიძაშვილი ზაქარია - 45 წლის, მისი მეუღლე თინათინი - 30 წლის, მათი შვილები: დავითი - 10 წლის, ივანე - 8 წლის, ზურაბი - 5 წლის.

პეტრეს დედა ხამფერა - 70 წლის.

სულ: 11 სული, 7 მამრობითი სქესის, 4 მდედრობითი.

კომლი 3. სოსია ბერძენა შვილი – 30 წლის, მისი მეუღლე ნენე - 30 წლის, მათი შვილი: ვასილი - 1 წლის.

ვასილ ბერძენა შვილის ქვრივი თინათინი - 36 წლის, მათი შვილები: ანტონი - 20 წლის, უცოლო, ზაქარია - 13 წლის, დიმიტრი - 5 წლის, ქიტესა - 2 წლის.

სულ: 8 სული, 6 მამრობითი სქესის, 2 მდედრობითი.

კომლი 3. სოსია ბერძენა შვილი – 30 წლის, მისი მეუღლე ნენე - 30 წლის, მათი შვილი ვასილი - 1 წლის.

ვასილ ბერძენა შვილის ქვრივი თინათინი - 36 წლის, მათი შვილები: ანტონი - 20 წლის, უცოლო, ზაქარია - 13 წლის, დიმიტრი - 5 წლის, ქიტესა - 2 წლის.

სულ: 8 სული, 6 მამრობითი სქესის, 2 მდედრობითი.

კომლი 4. სოლომონ ბერიას შვილი მამულაშვილი – 30 წლის, მისი მეუღლე ქეთევანი - 20 წლის.

სოლომონის ძმა დავითი - 20 წლის, უცოლო.

ბერიას და მარიამი - 40 წლის.

სულ: 4 სული, 2 მამრობითი სქესის, 2 მდედრობითი.

კომლი 5. იესე ბერძენა შვილის ქვრივი, ასევე ბარამაძე ანახანუმი – 60 წლის, მისი შვილი ტეტია - 36 წლის, მისი მეუღლე ანნა - 26 წლის, მათი ქალიშვილი სალომე - 8 წლის.

იესეს შვილიშვილი, ივანეს შვილი ზაქარია - 7 წლის.

სულ: 5 სული, 2 მამრობითი სქესის, 3 მდედრობითი.

თავადების, პოლკოვნიკ შანშე ერისთავის, პოდპოლკოვნიკ თორნიკე ერისთავისა და გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ერისთავის ყმები: კოზაშვილები - 1 კომლი, 8 მამაკაცი, 3 ქალი (11 სული):

კომლი 1. თამაზ შიოს შვილი კოზა შვილი – 40 წლის, თამაზის მეუღლე ხორეშანი - 30 წლის, მათი შვილები: ტეტია - 7 წლის, გიორგი - 3 წლის. ქალიშვილი მაია - 1 წლის.

თამაზის ძმები: ზურაბი - 30 წლის, აბრამი - 20 წლის, უცოლო.

ზურაბის მეუღლე ნენე - 20 წლის, მათი შვილი იაკობი - 4 წლის.

თამაზის ბიძაშვილი, გოგია კოზაშვილის შვილი დიმიტრი - 9 წლის.

თამაზის ძმიშვილი, გლახა კოზაშვილის შვილი ალექსი - 10 წლის.

სულ: 11 სული, 8 მამრობითი სქესის, 3 მდედრობითი.

სულ საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები: 36 კომლი, 167 მამაკაცი, 132 ქალი (299 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1243).**

სახაზინო მიწაზე ცხოვრობდნენ: ცუტაშვილები - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 4 ქალი (8 სული); ფაცინაშვილები - 5 მამაკაცი, 2 ქალი (7 სული); ჯინიყაშვილები - 1 კომლი, 3 მამაკაცი, 4 ქალი (7 სული).

კომლი 1. გლახა ცუტა შვილი – 60 წლის, მისი მეუღლე ტასია - 50 წლის, მათი შვილები: სოსია - 30 წლის, ნინია - 25 წლის, გაბრიელი - 22 წლის.

სოსიას მეუღლე ვარვარა - 20 წლის.

ნინიას მეუღლე მაია - 18 წლის, მათი ქალიშვილი ელიზავეტა (ელისაბედი) – 1 წლის.

სულ: 8 სული, 4 მამრობითი სქესის, 4 მდედრობითი.

კომლი 2. გაბრიელ ფაცინა შვილი – 40 წლის, მისი მეუღლე თინათინი - 30 წლის, მათი შვილები: თომა - 16 წლის, სოსია - 12 წლის, მოსე - 10 წლის, გიგოლა - ½ წლის.

სულ: 7 სული, 5 მამრობითი სქესის, 2 მდედრობითი.

კომლის წევრთა ასაკი ყველგან გადახაზულია.

კომლი 3. ლაზარე ჯინიყაშვილის ქვრივი მაია – 49 წლის, მისი შვილი დიმიტრი - 17 წლის (ასაკი გადახაზულია), ქალიშვილები: ვარვარა - 14 წლის, სოფია - 12 წლის.

ლაზარეს ძმა შიო - 40 წლის, მისი მეუღლე ტასია - 20 წლის.

ლაზარეს ძმიშვილი, ქაიხოსროს შვილი ტიმოთე - 3 წლის.

სულ: 7 სული, 3 მამრობითი სქესის, 4 მდედრობითი.

სულ: 3 კომლი, 12 მამაკაცი, 10 ქალი (22 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1244).**

მთლიანობაში ვარიანში აღწერილია 42 კომლი, 196 მამაკაცი, 160 ქალი (356 სული).

მეცხრამეტე საუკუნის 30-იანი წლების აღწერებში გოგებაშვილებს ვერ ვხვდებით, თუმცა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული, 1841 წლით დათარიღებული ერთი ისტორიული დოკუმენტში, რომლის თავფურცელიც გვამცნობს, რომ არის „მეტრიჩესკის წიგნი, მიცემული საქართველო იმერეთის უწმინდესის მმართებელის სინოდის კანტორითგან. გორის უეზდის სოფლის ვარიანის ღ˜თისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიასა შინა. ჩასაწერელად დაბადებულთა, ქორწინებით შეუღვლილთა და გარდაცვალებულთასა“, სვიმონ იოანეს ძე გოგებაშვილი მოხსენიებულია, როგორც სოფლის მღვდელი, რომელიც აღასრულებს ქორწინებისა და ნათლისღების საიდუმლოებებს, ათქმევინებს აღსარებას, აზიარებს და მიცვალებულებს „აღუგებს“

ანდერძს. წყაროში სიმონ გოგებაშვილი ზოგან მოხსენიებულია გოგებოვადაც **(სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1247)**..

სიმონs ვაჟიშვილ ანდრიასთან ერთად ვარიანში აუშენებია ორსართულიანი ქვითკირის შენობა ღია აივნით. შემდგომში იაკობის ძმას ზაქარიას ერთი ოთახი მიუმატებია. 1840 წლის 27 ოქტომბერს ამ სახლში დაიბადა ქართული მწერლობისა და პედაგოგიური აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი...

იაკობ გოგებაშვილს ჰყავდა ექვსი ძმა და ორი და. დედამისი მაგდანა კალმახელიძის ქალი იყო სოფელ დირბიდან. მწერლის ოჯახის წევრების საფლავები ღვთისმშობლის ეკლესიიდან მოშორებითაა.

იაკობის დედა გარდაცვლილა 1873 წლის 5 ნოემბერს, 61 წლის ასაკში, მამა - 1869 წლის 2 დეკემბერს, 64 წლის ასაკში.

მაგდანას და სვიმონის საფლავების ახლოს ივანე გოგებაშვილის საფლავია. ივანე იაკობის უფროსი ძმა ყოფილა, რომელიც ხელს უწყობდა სწავლის მიღებაში. გოგებაშვილების სასაფლაოზე განისვენებენ ძმები: მთავარდიაკვნები ანდრია და შაქრო, ანდრიას მეუღლე ეკატერინე... იაკობი არც მიცვალებულებს აკლებდა ყურადღებას და ცოცხლებზეც ყოველდღიურად ზრუნავდა.

ვარიანის ძველი საფლავებიდან აღსანიშნავია ასევე ვასილ ქებაძის საფლავის ქვის 1833 წლით დათარიღებული ეპიტაფია. ვასილი მოხსენიებულია 1818 წლის აღწერაში, გარდაცვალების დროს იგი 80 წლის ყოფილა. 1849 წლით თარიღდება ოთარ კერესელიძისა და მისი მეუღლის ეპიტაფია, 1865 წლით - ივანე სტეფანაშვილის, 1872 წლით - სუბაშვილის (ზუბაშვილის) მეუღლის, 1874 წლით - ზაქარია კერესელიძის, 1875 წლით - ვანო კერესელიძის და ა.შ...

შიდა ქართლის ამ უძველესი ქართული სოფლის შესახებ არაერთი გადმოცემაა ჩვენამდე მოღწეული. ნიკოლოზ ივანეს ძე ბერკაცაშვილის მონათხრობით, ვარიანი ორ უბნად იყოფოდა. „მთავარი სოფელი“ ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრეთ დასავლეთით ყოფილა, სადაც უცხოვრიათ სტეფანიშვილებს, ბუზალაძეებსა და ხვდიანელებს. თურქებთან ერთ-ერთი ბრძოლის დროს ერეკლეს ვარიანელებიც ახლდნენ მაჩაბლის მეთაურობით. მეფეს მოსწონებია მათი სიჩაუქე და რით დაგაჯილდოვოო - უკითხავს მაჩაბლისთვის. ვარიანის ბოძება უთხოვია თავადს. დაინტერესებულა ამ სოფლით მეფე და ორასკაციანი ამალით ჩაბრძანებულა სტუმრად. ტრადიციული ქართული გულუხვობა გამოუჩენიათ მასპინძლებს. სტეფანიშვილებმა, ბუზალაძეებმა და ხვდიანელებმა სამი დეკეული დაკლეს და 18 კოკიანი ქვევრი მოხადესო. ერეკლეს „ქართული მწვანე“ მოსწონებია და ამ ჯიშის ვაზის გამრავლება უბრძანებია **(მეგრელიძე, 1984: 105-106).**

ვარიანთან დაკავშირებით ცნობილია ხალხური ლექსი:

„დასაქცევი მებატონე
ჩამოუვლის ვარიანსა,
წიოკობას აუტეხავს
წიწილას და ვარიასა" –

ხალხური პოეზიის ეს ნიმუში თითქოს უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ვარიის სახელია ფუძეში ნაგულისხმევი.

გავიხსენოთ ისიც, რომ ვარიას ძველ ქართულად სადღობელს უწოდებდნენ. მესაქონლეობა კი ამ სოფელში ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო...

თუმცა უფრო მისაღებად მიმაჩნია სახელის დაკავშირება გამოთქმასთან - ვარ იანი ანუ მინიშნება იებით მოფენილ სოფელზე. ამ გამოთქმისთვის ყურადღება სულხან საბა ორბელიანსაც მიუქცევია: „ვარია, ვითარმედ „ია ვარ“ **(სულხან-საბა ორბელიანი, I, 1991: 254).**

„ვარიანი“ ნართანიანი ფორმითაა წარმოდგენილი.

იებით გადაპენტილი ყოფილა ეს მხარე. იაკობი მოხიბლულა თავისი სოფლის მშვენიერებით და „აი ია“-ო - აღტაცებით წარმოუთქვამს. აქედან უნდა მომდინარეობდეს „დედა ენის“ სასაძირკვლე სიტყვა - „აი ია"...

XXI საუკუნის დასაწყისში (2002 წლის აღწერის მონაცემებით) ვარიანში 1959 მოსახლე ყოფილა, 960 მამაკაცი და 999 ქალი. 2014 წლის აღწერის მიხედვით კი ეს რიცხვი 1469-მდეა შემცირებული - 730 მამაკაცია და 739 ქალი **(https://ka.wikipedia.org › wiki › ვარიანი).**

დასკვნები:

ვარიანი შიდა ქართლის უძველესი ქართული სოფელია, სადაც 1840 წელს დაიბადა დიდი ქართველი მწერალი, ეროვნული მოღვაწე, ქართული პედაგოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი.

ისტორიულ წყაროებში ვარიანის შესახებ პირველი ცნობებს XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვხვდებით. 1656 წელს, ქართლის ბაგრატიონების უკანასკნელ წარმომადგენელს, როსტომ მეფეს (იგივე ხოსრო მირზა, ქაიხოსრო ბატონიშვილი) მაჩაბლებისთვის მამული უბოძებია.

ნაშრომში მოყვანილი ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ მაჩაბლების გარდა ვარიანში ყმები და მამულები ეკუთვნოდათ: ურბნელ ეპისკოპოსს, ამილახვრებს, ფალავანდიშვილებს, თულაშვილებს, აზნაურ ვასილ კობახიძეს, სოლომონ მგალობელს, მეთოდი მდივანბეგს...

სოციალური ურთიერთობის შესახებ არსებული წყაროები ცხადყოფს, თუ როგორი დაძაბული ურთიერთობა იყო მემამულეთა შორის მამულებსა და ყმებთან დაკავშირებით. საკითხის მოსაგვარებლად, ხშირად სამეფო კარის ჩარევა და სამართლიანი განჩინება ხდებოდა საჭირო.

ვარიანში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებასთან დაკავშირებით პირველ ვრცელ და სრულყოფილ ინფორმაციას თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში ვეცნობით, რომლის მიხედვით ვარიანი ექვემდებარებოდა საციციანოს. სოფელში ცხოვრობდა 33 კაცი, რომელთა მფლობელობაშიც იყო ოცი დღის სამეუფო ვენახი და 20 დღის მიწა.

გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერის მიხედვით: ვარიანში ცხოვრობდნენ თავად იასე მაჩაბლის ოსები, აზნაურ ქაიხოსრო ხერხეულიძის, თავად ლუარსაბ მაჩაბლის, თავად ამილახვრისა და მაჩაბლის, თავად ერისთავის ყმები... აქვე ვხვდებით სამთავროს მონასტრის ყმებსა და ახლად ჩამოსახლებულ ტყვედნამყოფ ქართველებს. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ჩვენამდე მოღწეული საეკლესო ყმების ნუსხის მიხედვით, ვარიანში თავისი ყმები ჰყავდა სამთავისის ეკლესიას.

1818 წლის აღწერით ვარიანში ყმები და გლეხები ეკუთვნოდათ: თეიმურაზ სიმონ, მიხეილ, ბარძიმ, ჰექტორ, ბერო მაჩაბლებს, ზურაბ ხერხეულიძეს, თეიმურაზ და ბარამ ბორტიშვილ-მაჩაბლებს, შანშე ერისთავს.

1818 წლის აღწერიდან ჩანს, რომ იმ დროისთვის სოფელ ახალდაბაში ცხოვრობდა გოგებაშვილების ორი კომლი, მანუჩარ და შიოშ თუმანიშვილების ყმები. იაკობ გოგებაშვილი წყაროში მოხსენიებული სიმონის ვაჟი იყო.

1831 წლის აღწერით ვარიანში ვხვდებით სამთავისის ეკლესიის, საბატონო და სახაზინო ყმებს; სამთავისის ეკლესიის ყმები სამი კომლი იყო: 17 მამაკაცი და 18 ქალი იყო, საბატონო - 36 კომლი, 167 მამაკაცი და 132 ქალი, სახაზინო - 3 კომლი, 12 მამაკაცი, 10 ქალი. სულ 42 კომლი, 196 მამაკაცი და 160 ქალი (356 სული). მამულები და ყმები ეკუთვნოდათ: გიორგი ზუბალოვს (ზუბალაშვილი), თავადებს: თეიმურაზ, სიმონ, მიხეილ, ბარძიმ მაჩაბლებს, ზურაბ ხერხეულიძეს, თავადებს: თეიმურაზ და ქაიხოსრო ბორტიშვილ-მაჩაბლებს, ნიკოლოზ ამილახვარს, შანშე, თორნიკე და გიორგი ერისთავებს.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის აღწერების მიხედვით სოფელ ვარიანში ცხოვრობდნენ: მაჩაბლები, გოგებაშვილები, აბულაძეები, გვარამაძეები, არეშიძეები, სტეფანიშვილები, კოკაურები, ბუგულაძეები, აბრამაშვილები, ქესუაშვილები, დიაკვნიშვილები, კერესელიძეები, ხუციშვილები, კოზაშვილები, სირბილაძეები, ადუაშვილები, მამულაშვილები, დგებუაძეები, ბედიანაშვილები, ზუბიაშვილები (ზუბაშვილები), მეგრელიშვილები, ხიზანაშვილები (ხიზანიშვილები), ქებაძეები, დიაკვნიშვილები, უჯამერლიშვილები (ურჯუმელაშვილები), უჯარმელები, ბერძენაშვილები (ბერძენიშვილები), ბუზალაძეები, ცოტაშვილები, ჯინიყაშვილები, ფაცინაშვილები და სხვები... დღესაც, ძირითადად, ვარიანში მათი შთამომავლები ცხოვრობენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ალიმბარაშვილი, ი. (2021). *შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით,* გორი.

ბაგრატიონი, იოანე. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

ბატონიშვილი, ვახუშტი. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა,* ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. (1962). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ., I, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ენციკლოპედია „თბილისი“. (2002). ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი.

თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. (2009). *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი,* წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით,

გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბილისი.

მეგრელიძე, ი. (1984). *სიძველეები ლიახვის ხეობაში,* თბილისი.

საქართველოს ისტორიის... (1990). *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5,* თბილისი.

საქართველოს სიძველენი. (1910). *საქართველოს სიძველენი,* ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ., III, ტფილისი.

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1243. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 1243.*

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1244. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 1244.*

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1247. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1247.*

ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ). (1972). სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტ. IV, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი.

ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ). (1974). სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტ. V, ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი.

ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ). (1981). სასამართლო არზა-ოქმები, ტ. VII, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი.

ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. (1984). *ქართულ-სპარსული (ორენოვანი) ისტორიული საბუთები (XVI-XVIII სს.),* ტექსტი დაადგინა, თარგმანი, კომენტარი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ნ. დუნდუამ, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.

ჯავახიშვილი, ივ. (1967). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები,* თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

ჯავახიშვილი, ივ. (1974). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II,* თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

(https://www.aura.ge/103-saskolo/11953-iakob-gogebashvili--chveni-sofeli.html).

(https://ka.wikipedia.org › wiki › ვარიანი).

REFERENCES

Alimbarashvili, i. (2021). *shida kartlis (goris mazris) mosakhleoba XIX saukunis pirvel ocwleulshi rusuli kameraluri aghwerebis mixedvit [the population of shida kartli (gori regioni) in the first decade oh the 19th century. according to Russian censuses.* Gori.

bagrationi, ioane.(1986). *kartl-kaxetis agwera [the description of kartl-kakheti],* teksti gamosacemad moamzades, gamokvleva da sadzieblebi daurtes tina enukidzem da guram bedoshvilma [the text was prepared for publication, research and references were added by tina enukidze and guram bedoshvili]. Tbilisi: "metsniereba".

bat'onishvili vakhusht'i. (1973). *aghtsera sameposa sakartvelosa [description of the kingdom of georgia].* kartlis tskhovreba [georgian chronicles]. IV. teksti dadgenili kvela dziritadi khelnaweris mixedvit s. kaukhchishvilis mier [the text is established according to all major manuscripts by s. kaukhchishvili]. Tbilisi: metsniereba.

guldenstedtis mogzauroba sakartveloshi [guldenstedt's trip to georgia]. (1962). germanuli teksti kartuli targmaniturt gamosca da gamokvleva daurto gia gelashvilma [the German text was published with a georgian translation and research was added by gia gelashvili]. I. Tbilisi.

enciklopedia „tbilisi“ [encyclopedia „tbilisi“]. (2002). kartuli enciklopediis irakli abashidzis sakhelobis mtavari samecniero redaqcia [irakli abashidze main scientific editorial board of the kartuli encyclopedia]. Tbilisi.

tbilisis vilaietis didi davtari. (2009). *1728 tslis tbilisis vilaietis didi davtari [the great book oh Tbilisi province, 1728],* tsignil I, osmaluri teksti kartuli targmanit, shesavlit, gamokvlevita da faqsimileebit gamosacemad moamzades akad. sergi jikiam da prof. nodar shengeliam [akad. s. jikia and prof. n. shengelia added notes and published texts]. Tbilisi.

megrelidze, i. (1984). *liakhvis kheobis sidzveleebi [antiquities of the liakhvi gorge], tbilisi.*

sakartvelos istoriis… (1990). *sakartvelos istoriisa da kulturis dzeglta aghweriloba [Description of historical and cultural monuments of Georgia].* t., 5. Tbilisi.

sakartvelos sidzveleni. (1910). sakartvelos sidzveleni e. takaishvilis redakciit [antiquities of georgia, e. edited by takaishvili]. III. Tfilisi.

seasca, f. 254, Ins. 1, Case 1243. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 1243 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, Ins. 2, case 1243].*

seasca, f. 254, Ins. 1, Case 1244. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 1244 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, Ins. 2, case 1244].*

seasca, f. 254, Ins. 1, Case 1247. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 1247 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, Ins. 2, case 1247].*

sulkhan-saba orbeliani. (1991). leksikoni kartuli, I. [georgian dictionary, II]. Tbilisi: "meran" publishing house.

kartuli samartlis dzeglebi [monuments of georgian law]. (1972). *sasamartlo ganchinebani [court rulings] (XVI-XVIII), IV,* tekstebi gamosca, shenishvnebi da sadzieblebi daurto prof. i. dolidzem [prof. i. dolidze added notes and published texts]. Tbilisi.

kartuli samartlis dzeglebi [monuments of georgian law]. (1974). *sasamartlo ganchinebani [court rulings] ((XVIII ს.). V,* tekstebi gamosca, shenishvnebi da sadzieblebi daurto prof. i. dolidzem [prof. i. dolidze added notes and published texts]. Tbilisi.

kartuli samartlis dzeglebi [monuments of georgian law]. (1981). *sasamartlo arza-oqmebi [court arza-protocols], VII,* tekstebi gamosca, shenishvnebi da sadzieblebi daurto prof. i. dolidzem [prof. i. dolidze added notes and published texts]. Tbilisi.

kartul-sparsuli istoriuli sabutebi. (1984). *kartul-sparsuli (orenovani) istoriuli sabutebi (XVI-XVIII), [georgian-persian bilingual historical documents (XVI-XVIII)].* teqsti daadgina, targmani, komentari, leqsikioni da sadziebeli daurto n. donduam [n. dondua added notes and published texts]. Tbilisi: metsniereba.

javakhishvili, Iv. (1967). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [Monuments of economic history of georgia], 1, demograpiuli dzeglebi [demographic monuments] XVIII.* tbilisi: metsniereba

javakhishvili, Iv. (1974). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [monuments of economic history of georgia], (XIII-XIX), II.* Tbilisi: metsniereba.

(https://www.aura.ge/103-saskolo/11953-iakob-gogebashvili--chveni-sofeli.html).

(https://ka.wikipedia.org › wiki › ვარიანი).